

სსიპ გორის სახელმწიფო სასაწავლო უნივერსიტეტი

ლონდა მარიამიძე

ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური ასპექტები ქართულ და ინგლისურ
ლინგვისტურ სივრცეში

სამაგისტრო ნაშრომი შესრულებულია:

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტზე, ანგლისტიკის მაგისტრის აკადემიური
ხარისხის მოსაპოვებლად.

ხელმძღვანელი: პროფესორი ზურაბ ჩხიკვაძე

გორი

2021

ანოტაცია

სამაგისტრო ნაშრომი შეისწავლის ქართული და ინგლისური ანდაზების ნაციონალურ მენტალიტეტს მათ სტრუქტურულ-სემანტიკურ ასპექტებს, ყოველდღიური მრავალფეროვანი მოვლენების ასახვის თავისებურებებს და ტრადიციებს და აგრეთვე მათ თემატიკას ქართული და ინგლისური ანდაზების შეპირისპირების საფუძველზე. თემის აქტუალობა განსაზღვრულია იმ ფაქტით, რომ თანამედროვე ცხოვრებაში აქტიურად ვითარდება ერებს შორის კულტურული ურთიერთობა. შესაბამისად მნიშვნელოვანი და აქტუალურია ენობრივი ერთეულების შესწავლა, განსაკუთრებით კი იმ ენობრივი ერთეულებისა, რომლებსაც კულტურული კონოტაცია ახასიათებთ. თვისობრივად კი ასეთი ერთეულებია ქართული და ინგლისური ანდაზები. კვლევის აქტუალობას განსაზღვრავს ის ფაქტიც, რომ შეპირისპირებით ჭრილში საკმარისად არ არის შესწავლილი ამ ორი განსხვავებული ეთნოსის ანდაზების სტრუქტურა და სემანტიკა. კვლევისთვის საჭირო მასალა აღებულია ქართული და ინგლისური ანდაზური ფონდებიდან, რომელიც გვეხმარება უკეთ გავიცნოთ ორი განსხვავებული ერის ზეპირსიტყვიერება კულტურა და ყოველდღიური ცხოვრება. ნაშრომის სიახლე განაპირობებულია იმ საკითხების შემოტანით სამეცნიერო-კვლევით სივრცეში, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი ქართულში. ამ საკითხებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს ჩვენი პოზიციის დაფიქსირება ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით, აგრეთვე შესწავლილია ნაციონალური კულტურისა და ანდაზის ურთიერთმიმართება ინგლისურ და ქართულ ენებში.

Abstract

Masters work studies themes, structural-semantic aspects, national mentality, traditions and peculiarities of reflecting a variety of daily events in different ethnoculture, in particular, Georgian and English based on contrast analysis of Georgian and English proverbs. The actuality of work is defined with condition that, in modern life cultural relationship is developing currently. Accordingly it is important and actual to study linguistic units,

especially those linguistic units which are characterized by cultural connotation. Qualitatively, such units are represented by Georgian and English proverbs. The actuality of the work is also defined with the fact that in contrast analysis are not studied enough Georgian and English proverb's structure and semantic.

Materials for the research are taken from Georgian and English proverb fond, which helps us to study better two different nations' orality, culture and daily life. The novelty of the work is defined by bringing such issue in the scientific-research space, which are studied less in Georgian. From those issues the most important is our position about linguistic status of proverbs, also there is studied the relationship of proverb and national culture of English and Georgian languages.

შინაარსი

შესავალი -----

თავი I. ანდაზების ისტორია და მათი დახასიათება

1.1 ანდაზის ზოგადი დახასიათება-----

1.2 ანდაზათა ლინგვისტური შესწავლის საკითხები-----

1.3 ანდაზის ლინგვისტური სტატუსი-----

თავი II. კულტურულ ღირებულებათა ასახვის სემანტიკური თავისებურებანი ინგლისურ და ქართულ ენაში

2.1 ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა-----

2.2 სულიერი და მატერიალური კულტურის შემცველი ანდაზები-----

2.3 ანდაზა როგორც ნაციონალური კულტურის კომპონენტი-----

2.4 ანდაზების გამოყენება ქართული ნაწარმოებების ინგლისურ თარგმანებში-----

თავი III. პარემიების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის პრობლემა

3.1 ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება და მისი კვლევის ასპექტები-----

3.2 სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობის პრობლემა-----

ზოგადი დასკვნები-----

გამოყენებული ლიტერატურა-----

შესავალი

სამაგისტრო ნაშრომი მიმოიხილავს ანდაზების ისტორიას, დასიათებას, შეისწავლის ანდაზებს ენათმეცნიერულ ჭრილში, განიხილავს მათ გამზომილებებს, ტრადიციულ ფორმებს და განსაზღვრების საფეხურებს, რათა გამოავლინოს ანდაზების ენობრივ-კულტურული მახასიათებლები ქართულ და ინგლისურ ენებში. მასში განხილულია ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები და მისი კვლევის პრობლემები. აგრეთვე განხილულია ანდაზების ისტორია და მათი განსხვავებული თემატიკა. ნაშრომი აგრეთვე მოიცავს ინგლისური და ქართული ანდაზების კულტურულ ღირებულებათა ასახვის თავისებურებებს ქართულ და ინგლისურ ენაში. აგრეთვე ნაშრომში წარმოდგენილია ანდაზების გამოყენება ქართული ნაწარმოებების ინგლისურ თარგმანებში. კვლევა შეეხება ხშირად გამოყენებად ანდაზებს.

თემის აქტუალობა

თემის აქტუალობას განსაზღვრავს ის გარემოება, რომ დღევანდელ პირობებში აქტიურად ვითარდება ხალხს შორის კულტურული ურთიერთობა, შესაბამისად, აქტუალურია ენობრივი ერთეულების შესწავლა, განსაკუთრებით ისეთი ენობრივი ერთეულებისა, რომლებიც ხასიათდებიან კულტურული თავისებურებებით. ამ ენობრივ ერთეულებს კი ამ შემთხვევაში ინგლისური და ქართული ანდაზები წარმოადგენენ. ანდაზა ნებისმიერი ერის კულტურის უმნიშვნელოვანეს შემადგენელ ნაწილს წარმოადგენს. ამ მეტად რთულ ენობრივ ფენომენში კონცენტრირებული სახით გვაქვს მოცემული ინფორმაცია მისი შემოქმედი ხალხის კულტურის შესახებ, მათში დახასიათებულია ისტორიისა და წეს-ჩვეულებების მნიშვნელოვანი მომენტები. კვლევის აქტუალობა განისაზღვრება ასევე იმით, რომ ანდაზების გამოყენება და თემატიკა განსხვავდება სოციალური ჯგუფების, ასაკის, მენტალიტეტისა და გეოგრაფიული მდებარეობის მიხედვით.

ნაშრომის მიზანი

- 1) შეისწავლოს ანდაზების ისტორია და განსაზღვროს ენათმეცნიერულ ჭრილში;
- 2) შეისწავლოს ანდაზების სტრუქტურა, განსაზღვრებათა საფეხურები და ტრადიციული ფორმები;
- 3) დაახასიათოს თემატურად განსხვავებული ანდაზების სხვადასხვაობა ინგლისურ და ქართულ ენებში;

4) გამოავლინოს ანდაზების თარგმნის სპეციფიკა ქართული ნაწარმოებების ინგლისურ თარგმანებში;

5) გამოიკვლიოს ანდაზების გამოყენების სიხშირე და თემატიკა განსხვავებული გარემოებების პირობებში;

ნაშრომის სიახლე განაპირობებელია;

ისეთი საკითხების განხილვით და შესწავლით, რომლებიც ნაკლებადაა შესწავლილი და გამოყენებული ქართულ ნაშრომებში, კერძოდ:

- გაშუქებულია ინტერნაციონალური ტიპის ანდაზები და მათი კრებულების ტიპები, რომლებშიც წარმოდგენილია ანდაზების კლასიფიკაცია.
- წარმოჩენილია ჩვენი მოსაზრება ანდაზის ლინგვისტურ სტატუსთან დაკავშირებით.
- გამოკვლეულია ინგლისურ და ქართულ ანდაზებში რეალიების ასახვის თავისებურებანი.
- კვლევა ვაწარმოე ხშირად გამოყენებულ ანდაზებზე და თემატიკაზე, ინფორმატორთა ასაკობრივი სხვაობის, მენტალიტეტის, საცხოვრებელი ადგილისა და სოციალური მდგომარეობის გათვალისწინებით.

კვლევის მეთოდები

კვლევისას გამოყენებულია შეპირისპირებითი ანალიზისა და დესკრიფციული მეთოდები, რომლებიც საშუალებას მოგვცემს გამოვლინდეს ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური თავისებურებანი არამონათესავე ენების (ინგლისური და ქართული) ანდაზებში. კვლევა წარიმართა ინგლისური და ქართული ანდაზების უშუალო შეპირისპირების საფუძველზე, რადგან ეს მეთოდი თვალსაჩინოდ წარმოაჩენს ინგლისური და ქართული ანდაზების მსგავსებასა და განსხვავებას გარე სამყაროს ასახვის და ხედვის თვალსაზრისით.

ნაშრომის თეორიული და პრაქტიკული ღირებულება

ინგლისური და ქართული ანდაზების ენობრივ-კულტურულ მახასიათებლებზე კვლევამ ნათლად წარმოაჩინა არაერთი საინტერესო საკითხი, როგორც ქართულ, ასევე ინგლისურ კულტურაზე, მათ მახასიათებლებზე, ჩვევებზე და

ღირებულებებზე. ანდაზების საშუალებით დავინახეთ როგორც მსგავსება, ასევე განსხვავება ინგლისურ და ქართულ კულტურას შორის.

ვფიქრობ, ნაშრომში განხილული მასალები დიდ დახმარებას გაუწევს აღნიშნული თემით დაინტერესებულ პირებს ანალოგიურ აკადემიურ კვლევებსა და აქტივობებში.

ნაშრომის სტრუქტურა

განსაზღვრა დასახულმა მიზნებმა და ამოცანებმა. ნაშრომი შედგება: თავფურცლის, ანოტაციის, შინაარსის, შესავლის, სამი თავის, საერთო დასკვნისა და ბიბლიოგრაფიისაგან. სამაგისტრო ნაშრომი კომპიუტერულად ნაბეჭდი --62-- გვერდია. შესავალ ნაწილში დასაბუთებულია საკვლევი პრობლემის აქტუალობა, განსაზღვრულია კვლევის მიზანი. მოცემულია ნაშრომის მეცნიერული სიახლე, მისი თეორიული და პრაქტიკული მნიშვნელობა.

თავი I.

ანდაზების ისტორია და მათი დახასიათება

პირველ თავში წარმოდგენილია ანდაზების ზოგადი დახასიათება, მისი ლინგვისტური შესწავლის საკითხები, ანდაზათა პერიოდიზაცია და მისი ლინგვისტური სტატუსი. ანდაზათა ზოგადი დახასიათება მოიცავს ინფორმაციას ანდაზის რაობის შესახებ რას წარმოადგენს ანდაზა, როდის ჩამოყალიბდა იგი და როგორ გავრცელდა და მოვიდა დღეს ჩვენამდე. ანდაზა ეს არის მხატვრული ფორმით ჩამოსხმული კოდექსი ხალხისა, რომელიც შეიქმნა ხალხის მიერ და ზეპირი სახით გადაეცემოდა თაობიდან თაობას მანამ, სანამ არ დაიწყეს მისი წერილობითი ფორმით ჩაწერა. ანდაზა უთავრესად ერთი წინადადებაა, რომელშიც ძალიან დიდი სიბრძნეა ჩადებული. ანდაზა სხარტი და ბრძნული პასუხია ადამიანისა. სწორედ ამიტომ არ დარჩა იგი შეუმჩნეველი მკვლევრებისათვის, მწერლებისათვის და თითქმის ყველა სფეროში მოღვაწე ადამიანისათვის. რაც შეეხება ანდაზის ლინგვისტური შესწავლის საკითხს. მის ენათმეცნიერულ შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს და იგი XVI საუკუნიდან იწყება და დღესაც აქტიურად გრძელდება. მკვლევარებმა გამოყვეს 5 პერიოდი პარემიოლოგიური კვლევა-ძიების სფეროში. ამ თავში აგრეთვე განხილულია ანდაზის ლინგვისტური სტატუსი. კვლევა წარიმართა ეთნოლინგვისტური ფოლკლორული და ლინგვისტური თვალსაზრისით. ანდაზების შესწავლის ლინგვისტური მიდგომამ სხვადასხვა საკითხი მოიცვა, მათ შორის კი

ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს ენის ფრაზეოლოგიურ ფონდში ანდაზების ადგილის განსაზღვრას და მისი ძირითადი ნიშნების გამოვლინებას, რაზეც უფრო კონკრეტულად ქვემოთ გვექნება საუბარი. აღსანიშნავია ის ფაქტი რომ სხვადასხვა ასაკობრივ ჯგუფებში ანდაზების გამოყენება განსხვავებულია და უნდა აღინიშნოს ისიც, რომ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებული სოციალურ მდგომარეობასთან, განათლებასთან, ეროვნულ სპეციფიკასთან და ინფორმანტების მენტალიტეტთან.

თავი II.

კულტურულ ღირებულებათა ასახვის თავისებურებანი ინგლისურ და ქართულ ენაში

ამ თავში განხილულია ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა. შედარებულია ერთმანეთთან მსგავსი თემატიკის ინგლისური და ქართული ანდაზები და ამით გამოიკვეთა მათი ურთიერთკავშირი. ამ ანდაზების შედარებით ნათლად შეგვიძლია დავინახოთ თუ რამსგავსება და განსხვავებაა ქართულ და ინგლისურ კულტურასა და ამ ორ ეთნოსს შორის. როგორც ქართველები ისე ინგლისელები უძველესი კულტურისა და ისტორიის მქონე ერია. ორივე ეთნოსს მდიდარი და მრავალმხრივი ტრადიციების შემუშავების ხანგრძლივი ისტორია აქვს, რომლებიც ყველაზე კარგად არის ასახული ანდაზებში. ანდაზების თემატიკა განსხვავებულია. როგორც ქართულ ასევე ინგლისურ ენაში გვაქვს ანდაზები სიყვარულზე მეგობრობაზე ოჯახზე შრომაზე სიზარმაცესა და ბავშვის აღზრდაზე. ანდაზების თემატიკა საკმაოდ ვრცელია და სწორედ ამიტომ ვერ შევძელი განმეხილა ყველა მათგანი. ამ თემატიკიდან ამორჩეულია და განხილულია ჩემთვის ყველაზე საინტერესო და გასათვალისწინებელი ანდაზები და აგრეთვე მოყვანილია მაგალითები ინგლისური და ქართული ანდაზებისა. ჩემთვის ყველაზე საინტერესო თემატიკა არის ოჯახის თემატიკა ვინაიდან იგი განისაზღვრება ადამიანის ყოველდღიური ცხოვრებით და მისი კვალი ამჩნევს საქმიანობის ყველა სფეროს. ოჯახი ზოგადად ქართველი ხალხისთვის უპირველიესი და ზემდგომია.

აგრეთვე განხილულია სულიერი და მატერიალური კულტურის შემცველი ანდაზები. ანდაზებში ასახულია ხალხის სულიერი და მატერიალური კულტურა, რომელიც კაცობრიობისთვის გაჩენის დღიდან არის დამახასიათებელი და ის მისი თანმდევი ნიშანდობლივი მოვლენაა. ამ თვალსაზრისით გამოიყოფა პარემიები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის ხანგრძლივ წარსულთან, ისტორიულ მოვლენებთან და წეს-ჩვეულებებთან. ზოგადად ყველა ანდაზა დაკავშირებულია გარკვეულ მიზეზთან და ამბავთან. ეს შეიძლება იყოს იგავ-არაკი თქმულება ან ისტორიული მოვლენა, მაგრამ

ისინი ზოგად პარამეტრებშია მოცემული და ჭირს მათი წარმოშობის კონკრეტული საფუძვლის გარკვევა.

ამ თავში აგრეთვე განვიხილავთ ანდაზას როგორც, ნაციონალური კულტურის კომპონენტს. წარმოდგენილია ამ საკითხთან დაკავშირებით სხვადასხვა მკვლევრების მოსაზრება და განხილულია შესაბამისი მაგალითები. აგრეთვე განვიხილავთ ქართული ნაწარმოებების ინგლისურ თარგმანებს და დავინახავთ თუ როგორ გაიაზრეს ინგლისელმა მთარგმნელებმა ჩვენი ანდაზები და როგორ წარმოაჩინეს იგი საკუთარ ენაზე.

თავი III

პარემიების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის პრობლემა.

მესამე თავში წარმოდგენილია ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება და აგრეთვე მისი კვლევის ასპექტები. ანდაზები ერთნაირადაა საიტერესო მეცნიერების სხვადასხვა დარგებისთვის იქნება ეს, ლინგვისტიკა, ფოლკლორისტიკა ლიტერატურათმცოდნეობა ფილოსოფია თუ ფსიქოლოგია. ანდაზა ეს არის მინი ტექსტი. თავისი შინაარსით ანდაზა წარმოადგენს ლიტერატურულ ნაწარმოებს, რადგან ამ მცირე ტექსტში ძალიან დიდი სიბრძნე და მრავალწლიანი დაკვირვება დევს. ყოველი ანდაზისათვის დამახასიათებელია სტრუქტურა და სემანტიკა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდრო კავშირშია და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება.

ზოგადად უნდა აღინიშნოს, რომ ანდაზასთან დაკავშირებით არც ერთი საკითხი ბოლომდე და საფუძვლიანად არ არის შესწავლილი. და რა საკვირველია არც მისი სტრუქტურული და სემანტიკური მახასიათებლებია ბოლომდე გამოკვლეული. ინგლისური და ქართული ანდაზებისთვის ბევრი რამ მსგავსია სტრუქტურულ-სემანტიკური თვალსაზრისით. ეს მსგავსება უფრო მეტად ჩანს ზოგად პრობლემურ საკითხებთან დაკავშირებით, რომლებიც გარკვეულწილად ორივე ეთნოსისათვის საერთოა და შესაბამისად ასახულია პარემიებშიც. ანდაზა მიეკუთვნება უივერსალურ გამონათქვამთა რიგს. ერთი ანდაზის ზუსტი ანალოგი სხვა ენაში არ მოიძებნება.

ანდაზის სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის ასპექტების შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. სტრუქტურული მიმართულებით კვლევა ითვალისწინებდა ანდაზის მორფოლოგიურ-სინტაქსური მოდელების გამოყოფას და

სტრუქტურის თავისებურებების გამოვლენას. განსაკუთრებულ ინტერესის საგანს წარმოადგენს ანდაზაში ცალკეული სიტყვის კვლევა, ანდაზის ზოგადი შინაარსი, სემანტიკის საკითხები და სხვა.

აღნიშნული თავის მეორე ქვეთავში განხილულია სხვადასხვა ხალხის ინვარიანტულობის პრობლემა. ანდაზების შესახებ გ. ლ. პერმიაკოვს გამოთქმული აქვს მოსაზრება, რომ სხვადასხვა ხალხის პარემიები ახდენენ ერთნაირი და ერთმანეთის მსგავსი სიტუაციების მოდელირებას. მსგავსი პარემიები წარმოადგენენ რაღაც ტიპური სიტუაციების ხატოვან ინვარიანტებს, ხოლო ეს ტიპური სიტუაციები კონკრეტული ანდაზების და ანდაზური თქმების ინვარიანტულია. ამ მოსაზრების თანახმად სიტუაციური მახასიათებლების მიხედვით, რეალურად არსებულ ანდაზებში უნდა გამოიყოს ოთხი ჯგუფი, რომელსაც პერმიაკოვი ლოგიკო-სემიოტიკურ ინვარიანტებს უწოდებს. ამ პარაგრაფში განვიხილავთ ქართულ ანდაზებს თუ როგორ თავსდება თითოეულ ჯგუფში.

თავი I

ანდაზების ისტორია და მათი დახასიათება

1.1 ანდაზის ზოგადი დახასიათება

ანდაზების კრებული ეს არის მხატვრული ფორმით ჩამოსხმული მორალური კოდექსი ხალხისა. ანდაზაში სხარტად გვაქვს გამოთქმული ბრძნული აზრი, რომელიც განზოგადებულია ხალხის ხანგრძლივი დაკვირვების შედეგად მოსწრებულად ნათქვამი ანდაზა ის იარაღია, რომელიც მახვლზე უკეთ ჭრის, ამიტომ მას ხშირად მიმართავენ ორატორები, მწერლები, ჟურნალისტები დიპლომატები.....

ანდაზების თემატიკა განსხვავდება მისი შინაარსის მიხედვით და იგი მოიცავს ისეთ საკითხებს როგორცაა სამშობლოს სიყვარული, ვაჟკაცობა, მეგობრობა, სიმამაცე და ლაჩრობა, სიმართლე და სიცრუე, შრომისმოყვარეობა და სიზარმაცე, ოჯახური და სოციალური ურთიერთობა და მრავალი სხვა. ამ თემებზე ხალხს ერთიმეორის საწინააღმდეგო აზრიც კი გამოუთქვამს, მაგრამ ეს იმის შდეგია, რომ ანდაზების შემქმნელი კოლექტივი მრავალფეროვანია და ზოგი მოვლენა სხვადასხვა ჯგუფის მიერ ან სხადასხვა პირობებში ერთნაირად არ ფასდება. ანდაზა ეს არის ხალხის ხანგრძლივი დაკვირვების განზოგადება, კოლექტიური შემოქმედების ნაყოფი. ცხადია, რომ ბრძნულ აზრს პირველად ერთი კონკრეტული ადამიანი მოუძებნის მოხდენილ სიტყვიერ სამოსელს თუმცა მისი ვინაობა

შემდგომ ხალხში რჩება მიმალული. ნათქვამი მაშინ იქცევა ნამდვილ ანდაზად როცა ხალხი იშვილებს და შეისისხლხორცებს. კაცია-ადამიანის წინასიტყვაობაში შესნიშნავად აქვს ილიას ნათქვამი ”მოყვარეს პირში უძრაზე, მტერს პირს უკანაო”. სწორედ ამ სიტყვების მთქმელიც ხალხშია შესისხლხორცებული და ხალხისაა. ანდაზ ერთბაშად იპყრობს ყურადღებას მოხდენილი მხატვრული ფორმით რაც აზრს უფრო მკაფიოს და ადვილად გასაგებს ხდის. საუკუნეების მანძილზე ენაში შემუშავებულია გარკვეული ყალიბი ანდაზის სისხარტისა და მოქნილობის მისაღწევად.

ანდაზა უმთავრესად ერთი წინადადების ჩარჩოშია მოქცეული, ხოლო როცა დიალოგის სახეს ატარებს, მაშინაც მხოლოდ ორი-სამი ფრაზით ამოიწურება და არსებითად ერთ სინტაქსურ მთლიანობას წარმოადგენს. იშვიათად გვხვდება რთული ქვეწყობილი წინადადებები, მეტწილად უგულვებელყოფილია კავშირები. საერთოდ ანდაზა ვერ გულისხმობს ზედმეტსიტყვაობას აზრი ყოველთვის გამოთქმულია ლაკონური ფორმით. სწორედ ამიტომ ურჩევდა მაქსიმ გორკი ახალგაზრდა მწერლებს საგანგებოდ დაკვირვებოდნენ ანდაზების ენას, რათა აზრის მუშტივით შეკუმშვა შესძლებოდათ. აღტაცებით ლაპარაკობდნენ ქართულ ანდაზებზე პუშკინი, გოგოლი, აკაკი, ვაჟა-ფშაველა, ყაზბეგიი. გოგებაშვილმა ანდაზები უხვად შეიტანა დედაენის სახელმძღვანელოში, ზოგი ანდაზის საფუძველზე კი საბავშვო მოთხრობებიც შექმნა.

საერთოდ აღიარებულია, რომ ბევრი ანდაზა იგავ-არაკისგან არის მიღებული და მათი გაგება რთული აქ თუ არ ვიცით რომელი იგავიდან იღებს იგი სათავეს. ამ ანდაზებს სწორედ იგავები უდევს საფუძვლად; გარდამხდა გარდასავალი, აწი უარესს მოველიო; ვინც იცის ცეცხლია ვინც არა და ცერცვიო; მაგ საღვინემ ერთხელ ჩემთვისაც ჩამოაჩქაფუნოსო; მორჩა ბერი ცხონებაასა მონაზონი წაწყმედასაო და სხვა. ადვილი შესაძლებელია საპირისპირო პროცესიც, ანდაზის გავრცობით მივიღოთ იგავი.

ანდაზასა და იგავს შორის ასეთი მჭიდრო კავშირის გამო ზოგჯერ ძნელია მათ შორის ზღვარის დადება და საანდაზო კრებულში იგავებიც შედის ხოლმე. მთელი რიგი ნიშნებით ასევე ჰგვანან იდიომები და ანდაზებიც. ზოგი იდიომა სწორედ ანდაზისგან მომდინარეობს. მაგალითად, იდიომი ”ახალი ცოცხი” მიღებულია ანდაზისგან ”ახალი ცოცხი კარგად ჰგვის ძველი მოიტანს ქვიშასა”. იდიომს ”ხავსს ეჭიდება” საფუძვლად უდევს ანდაზა: წყალწაღებული ხავსს ეჭიდებოდაო და ა.შ.(ა.თაყაიშვილი, ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები; თბილისი, 1961, გვ.99)

მიუხედავად ასეთი მჭიდრო კავშირისა, ანდაზას იგავსა და იდიომს შორის მათი გამოიჯვნა შესაძლებელი და აუცილებელიცაა. ამას კი ვერ ვიტყვით ანდაზის და აფორიზმის შესახებ.

ტრადიციული შეხედულების მიხედვით, ანდაზასა და აფორიზმს განასხვავებს წარმომავლობა; ანდაზა არის ხალხური ბრძნული გამონათქვამი ხოლო აფორიზმი არის მხატვრული წარმოშობის. თუმცა არსებობს მოსაზრებაც, რომ აფორიზმი საძიებელ ცნებათა არსიდან არ გამომდინარეობს და გარედანაა შემოტანილი, რის გამოც იგი მიუღებელია. ამ მოსაზრების მიხედვით ანდაზასა და აფორიზმს განასხვავებს შინაარსის გამოხატვის ფორმა: როცა დამრიგებლობითი შინაარსი გადატანით, ალევორიულად გვეძლევა, ანდაზასთან გვაქვს საქმე, ხოლო თუ დამრიგებლობითი შინაარსი უშუალოდ არის მოცემული, ასეთი გამონათქვამი აფორიზმიაო (ფ.ერთელიშვილი, ანდაზის ცნების საკითხისათვის: N3, „მნათობი“ 1957; აფორიზმის ცნების საკითხისათვის: „მნათობი“ N 5 1958)

ანდაზა ხალხური ზეპირსიტყვიერების სპეციფიკური ჟანრია, მას ლექსივით ან ზღაპრით ვერ გიამბობენ, ანდაზას მთქმელი ხმარობს მხოლოდ საუბარში, საჭიროების შემთხვევაში. ამიტომ მათი შეკრება სპეციალური ფოლკლორული ექსპედიციების დროს ძნელია, მას ხალხში ხანგრძლივი ტრიალი სჭირდება, ამ საქმეში კი განსაკუთრებული როლი უნდა ითამაშოს ჩვენმა მოსახლეობამ, საზოგადოებამ. (ზ.ჭუმბურიძე „ქართული ანდაზები“ თბილისი 1965. გვ 3-6)

1.2 ანდაზათა ლინგვისტური შესწავლის საკითხები

ანდაზების შესწავლით დიდი ხნის წინ დაკავდნენ მკვლევრები. ამის ნათელი მაგალითია ანდაზების პირველი განმარტება მეცნიერულად. იგი თარიღდება XII საუკუნით.

ანდაზების ენათმეცნიერული ასპექტით შესწავლას საკმაოდ დიდი ხნის ისტორია აქვს. იგი იწყება XVI საუკუნიდან და დღესაც გრძელდება. უცხოელმა მკვლევრებმა გამოყვეს ხუთი პერიოდი პარემიოლოგიური კვლევა ძიების სფეროში.

I პერიოდი მოიცავს XVI-XVIII საუკუნეებს. ამ პერიოდში შეიქმნა ანდაზების მარტივი კრებულები (J.Howell, J. Ray, W. Walker), თუმცა არავის უცდია მათი სისტემეტიზაცია და ანალიზი.

II პერიოდი- XVIII საუკუნიდან XIX საუკუნის შუა წლები- შეისწავლეს ანდაზები პოეტიკისა და ფილოსოფიის თვალსაზრისით. (J. Zingerle)

III პერიოდი- XIX საუკუნის მეორე ნახევარი XX საუკუნის დასაწყისი- გამოჩნდა პირველი გამოკვლევები, რომლებშიც მოცემულია ანდაზების ისტორიული და შედარებითი ანალიზი.(SKEAT 1910)

IV პერიოდი მოიცავს XX საუკუნის 30-იან წლებს. აღნიშნული პერიოდის შრომებში განიხილება ანდაზების ფსიქოლოგიური ასპექტი(Albig, 1931; Bain, 1939)

V პერიოდი- XX საუკუნის 60-იანი წლებიდან დღემდე- მიმდინარეობს ანდაზების კონტექსტუალური(Taylor, 1975; Mieder. 1992) სტრუქტურული და სემანტიკური კვლევა.(Dundes, 1980; Norrick, 1985; Honeck, 1997).

თანამედროვე უცხოელ ლინგვისტთა ნაწილი ანდაზებს განიხილავს დასავლური საზოგადოების კონკრეტული პრობლემის კონტექსტში, სწორედ ეს არის მიზეზი მათი ნაშრომების ვიწრო მიმართულებისა და გამოყენების ხასიათისა. მაგალითად ვ. მილერი სტატიაში “ A proverb A day keeps no chauvinism away” (Mieder 1985; 273-277) აღნიშნავს „ანდაზების უმეტესობა რომლებიც ეხება ქალებს უარყოფითი ხასიათის მატარებელია“. ამის დასტურად რამდენიმე მაგალითს განიხილავს, რომლებიც ამოღებულია ინგლისური ანდაზების ოქსფორდის ლექსიკონიდან. (Oxford dictionary of english proverbs). „ Women are necessarily evils” -ქალები ნამდვილად ეშმაკები არიან. “All women maybe won”-ყველა ქალს შეუძლია გამარჯვება. აღნიშნულ ანდაზებში წარმოდგენილია ქალის უარყოფითი თვისებები და იგი ეშმაკთან არის შედარებული თუმცა ისიც უნდა ავღნიშნოთ რომ ქალს ანდაზები მხოლოდ უარყოფითად არ ახასიათებენ. გვაქვს ანდაზები ქართულშიც და ინგლისურშიც სადაც ქალი ძლიერ კეთილ და ნაზ არსებად არის წარმოდგენილი.

ვ. მილერი და თ. არჩერი დიდ ყურადღებას უთმობენ ბავშვის აღზრდის საკითხს ვინაიდან ეს მათთვის მნიშვნელოვანია. ვენგ ქინი თავის ნაშრომში “ Racial characteristics of proverbs” (Wang Qin 1996; 15-18) აღნიშნავს „ შეუძლებელია უცხო ენის შესწავლა პარემიოლოგიური ფონდისგან მოწყვეტით, რამეთუ არც ერთ სხვა ლინგვისტურ მასალას არ შეუძლია ისე ასახოს ამ ენაზე მოლაპარაკე ხალხის ისტორია, ეკონომიკური და კულტურული განვითარების თავისებურებები, როგორც ანდაზებს“. (Wang Qin 1996)

ლინგვოკულტურულმა მიდგომებმა გამოიწვია პარემიებისადმი სოციალურ-ფსიქოლოგიური და კულტურულ-ფილოსოფიური საზღვრების ანალიზისადმი კვლევითი ინტერესის გაღრმავება. ა.ა. პოტებნიასა და ბ.ა ლარინის შრომები ამ მიმართულებით განსაკუთრებულად მნიშვნელოვანია.

პარემიოლოგიური კვლევისადმი ლინგვოკულტურული მიდგომების შემდგომი განვითარება დაემთხვა დასავლეთ ევროპელი მკვლევრების მიერ კონცეფციების

ხელახალი გააზრების პერიოდს. განსაკუთრებული ინტერესი გამოიწვია ვ.ფონ ჰუმბოლდტის, ლ. ვაისგერბერის, ე. სეპირის, ბ. უორფისა და სხვა მკვლევრების შეხედულებებმა

განსხვავებულია ანდაზური ფონდის შესწავლის მეთოდებისა და მიდგომების სპეციფიკა საზღვარგარეთულ ენათმეცნიერებაში. ერთი რამ აშკარაა -ანდაზები ინტენსიურად შეისწავლება მათი ლინგვოკულტურული, ეთნოკულტურული სპეციფიკის, აგრეთვე კოგნიტური მიდგომის თვალსაზრისით.

ანდაზებთან დაკავშირებით ბოლო წლებში არაერთი სადისერტაციო ნაშრომი და კვლევა დაიწერა, რაც წინ გადადგმული ნაბიჯია ანდაზის ლინგვისტური სტატუსის უკეთ შესასწავლად, ვინაიდან ყოველი ახალი აღმოჩენა და ახალი ინფორმაცია ანდაზების შესახებ დაეხმარება მომავალ მკვლევარებს ინფორმაციის მოპოვებაში და უფრო მეტი სიახლის გაგებაში. ეს ხელს შეუწყობს ანდაზების საბოლოოდ გამოკვლევას ვინაიდან იგი საკმაოდ რთული ფენომენია და ბოლომდე ჯერ კიდევ არ არის შესწავლილი.

1.3 ანდაზის ლინგვისტური სტატუსი

XIX საუკუნის 30-იანი წლებიდან XX საუკუნის შუა წლებამდე გამოქვეყნებულ კრებულებში შევხვდებით პარემიების ტიპოლოგიზაციის პირველ მცდელობებს. ამ პერიოდიდან იწყება ერთმანეთის მსგავსი ენობრივი ერთეულებიდან პარემიების გამოყოფა. მათ განიხილავენ, როგორც განსაკუთრებული დანიშნულების მინი ტექსტებს.

დასავლური ენათმეცნიერება ანდაზების შესწავლისას ნაკლებ ყურადღებას უთმობს მის ლინგვისტურ მიმართულებას. ამ კუთხით მნიშველოვანი მიღწევები აქვთ რუს მკვლევრებს. ეს იმით აიხსნება რომ დასავლელ მკვლევრებს პარემიოლოგია განხილული აქვთ ფოლკლორისტიკის შემადგენელ ნაწილად. რაც შეეხება ანდაზების შესწავლას ლინგვისტური მიმართულებით უპირეტესობას ანდაზების ეთნოკულტურულ სპეციფიკას ანიჭებენ. აგრეთვე ეროვნული აზროვნების თავისებურებებსა და მათი ასახვის სპეციფიკას ინგლისურ ანდაზებში. ისინი პარემიების ნიშნობრივ ბუნებას არ განიხილავენ. აგრეთვე არ განიხილავენ მათ ადგილს ენის სისტემაში და ურთიერთდამოკიდებულებას მონათესავე ენობრივ ერთეულებთან. არც საკუთრივ ლინგვისტურ ერთეულად არ აღიარებენ. რაც შეეხება ურთიერთმიმართებას ანდაზებისა და ფრაზეოლოგიზმებისა დასავლელი მკვლევრები ამ საკითხს ან საერთოდ არ განიხილავენ ან კიდევ ნაკლებ ყურადღებას უთმობენ.

დღესდღეობით ანდაზების შესწავლა ყველა მიმართულებით ხდება, რაც ნიშნავს რომ ყალიბდება მისი სტატუსის შესახებ ახალი და განსხვავებული შეხედულებები . ანდაზები არა მხოლოდ ფოლკლორული ჟანრის ტექსტებად განიხილება, რომელთაც საკუთარი რიტმიკა და პოეტიკა გააჩნიათ არემედ განიხილებიან როგორც ენის ერთეულები. მკვლევრების ყურადღება მიიპყრო აგრეთვე ანდაზებში ხალხის მენტალიტეტის ასახვის თავისებურებებმა.

არსებობს აზრთა სხვადასხვაობა მკვლევრებს შორის ანდაზის ლინგვისტური სტატუსის შესახებ. მკვლევართა აზრი ორად გაიყო. მათ ერთ ნაწილს ანდაზა მიაჩნია და განიხილავს ფრაზეოლოგიურ ერთეულად რის გამოც მას აერთიანებს ფრაზეოლოგიურ სისტემაში. მკვლევართა მეორე ნაწილი არ ეთანხმება აღნიშნულ მოსაზრებას. მკვლევართა ერთმა ნაწილმა შეიმუშავა ფრაზეოლოგიის „ვიწრო“ ინტერპრეტაცია, ხოლო მეორე ნაწილმა ფრაზეოლოგიის „ფართო“ ინტერპრეტაცია. ფრაზეოლოგიის „ვიწრო“ ინტერპრეტაციის მომხრე მკვლევრები ფრაზეოლოგიას განიხილავდნენ ლექსიკოლოგიის შმადგენელ ნაწილად, ხოლო ფრაზეოლოგიზმებს განმარტავდნენ როგორც სიტყვის ეკვივალენტს. რაც შეეხება ფრაზეოლოგიის“ ფართო“ ინტერპრეტაციის მომხრე მკვლევრებს ისინი ფრაზეოლოგიას განიხილავდნენ როგორც დამოუკიდებელ ლინგვისტურ დისციპლინას, რომელიც სინტაქსური კონსტრუქციის მქონე ნებისმიერ მყარ სიტყვათშეთანხმებას შეისწავლის. მათთვის მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენდა ფრაზეოლოგიზმებისა და ანდაზების ურთიერთმიმართების საკითხი.

ანდაზების ადგილის განსაზღვრა და მისი ძირითადი ნიშნების გამოვლენა ანდაზების შესწავლის ლინგვისტური მიდგომის ერთ ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი საკითხია. ანდაზის ლინგვისტური სტატუსის შესახებ სპეციალურ ლიტერატურაში რამოდენიმე მოსაზრება გვაქვს:

1. ანდაზა არის ენის ფრაზეოლოგიური ფონდის ნაწილი-ფრაზეოლოგიის მოცულობის „ფართო“ ინტერპრეტაცია(Птушко 2010)
2. ანდაზა არ არის ფრაზეოლოგიური ერთეული- ფრაზეოლოგიის მოცულობის „ვიწრო“ ინტერპრეტაცია
3. ფრაზეოლოგიას განეკუთვნება ხშირად გამოყენებადი ანდაზების გარკვეული ნაწილი (ვ.ლ. არხანგელსკის მიხედვით „საყოველთაოდ გამოყენებადი ანდაზები“)
4. ანდაზა არის ტექსტი ენის, მეტყველების ან ორივესი ერთად, ან ფოლკლორული ტექსტი(რუსეიშვილი 2005)

5. ანდაზა ენობრივი ნიშანია-ენის იერარქიული სისტემის ერთ-ერთი დონის ერთეული (კარტოზია 1995)

აღნიშნული მოსაზრებებიდან ყველაზე მნიშვნელოვანს წარმოადგენს პირველი და მეორე მოსაზრება ვინაიდან სწორედ ეს არის მკვლევართა შორის კამათის მიზეზი.

1968 წელს რუსმა მკვლევარმა ისიდორე ლევიმა ჩაატარა ექსპერიმენტი რითიც დაამტკიცა, რომ ანდაზების გამოყენების სიხშირე პირდაპირ არის დამოკიდებული ასაკზე, სოციალურ მდგომარეობაზე, ეროვნულ ხასიათზე, განათლებასა და ინფორმენტების მენტალიტეტზე. ი. ლევიმის გამოკითხვებისას სოფლად მცხოვრები ასაკოვანი ადამიანები ასახელებდნენ ხშირად გამოყენებად ანდაზებს, რომლებიც მკვეთრად განსხვავდებოდა იმ ანდაზებისაგან, რომლებსაც ასახელებდნენ სტუდენტები და ქალაქის მოსახლეობა.

მოგვიანებით კი ამერიკელმა ფსიქოლოგმა ს. მარზოლფმა ერთნაირი გამოკითხვებით დაადგინა, რომ ერთი უნივერსიტეტის, ერთნაირი ინტელექტის მქონე , მაგრამ განსხვავებული რასის სტუდენტებიც კი ხშირად გამოყენებად ანდაზებად სხვადასხვა ანდაზებს ასახელებდნენ (Птушко 2010) რაც ბუნებრივი შედეგია, რადგან ხშირად გამოყენებადი ანდაზები განპირობებულია ეროვნულობის ფაქტორით.

აღნიშნული კვლევის მიხედვით შეგვიძლია ვთქვათ რომ ანდაზების გამოყენება განსხვავდება ასაკობრივი ჯგუფების მიხედვით. აგრეთვე აღსანიშნავია, რომ ისინი უშუალოდ არიან დაკავშირებულნი ხალხის ეროვნულ სპეციფიკასთან, ინფორმანტების მენტალიტეტთან, განათლებასა და სოციალურ მდგომარეობასთან. ყოველივე ზემოთ თქმული დიდი მქონეა პარემიოლოგიისათვის. ის აგრეთვე უარყოფს ფ. ლ.არხაგელსკისა და ა.ვ. მიდერის მოსაზრებას ანდაზის ლინგვისტური სტატუსის შესახებ.

ერთ-ერთი მოსაზრების თანახმად ზოგადად ანდაზა არის ენობრივი ნიშანი, როგორც გამოცანა, ანეკდოტი, ლეგენდა(კარტოზია 1995). ფ.დე სოსიურისეული დიქტონიმის პოზიციისა და რ.იაკობსონისეული პოზიციის საფუძველზე პროფესორი მ.რუსეიშვილი ამბობს, „ანდაზა არ არის ენობრივი ნიშანი, თუნდაც იმიტომ, რომ ანდაზა ისევე როგორც ნებისმიერი ტექსტი ინდივიდუალური მოვლენაა და მას არ ახასიათებს ენობრივი ნიშნის მისი ელემენტის არცერთი აუცილებელი თვისება“. (მ. რუსეიშვილი)

მეცნიერი თვლის რომ „ ანდაზა არის ვერბალური ტექსტი, რომელიც, როგორც ნებისმიერი ტექსტი, ენობრივი ერთეულების გარკვეული კომბინაციით იქმნება“. ის აგრეთვე ეთანხმება მოსაზრებას რომ ანდაზას აქვს ფოლკლორული ფესვები და იგი შექმნილია ხალხის მიერ. მკვლევარი ანდაზას მიაკუთვნებს ზოგადრეფერენტულ გამონათქვამთა რიცხვს. ეს გულისხმობს ისეთ ერთეულ რომელიც შეიცავს რაიმე განზოგადებულ დასკვნას და მისი მნიშვნელობა მინიმალურადაა დამოკიდებული კონტექსტზე.

ანდაზა რომ ტექსტია ეს უდავოა მაგრამ რამდენად თავსდება იგი ფრაზეოლოგიზმთა სისტემაში დავის საგანს წარმოადგენს მკვლევართა შორი, რადგან ანდაზისთვის დამახასიათებელია ის ნიშნები რაც ფრაზეოლოგიზმებსაც აქვთ თუმცა მას გააჩნია აგრეთვე მისგან განსხვავებული ნიშნებიც. სწორედ ის მიზეზი იმისა რომ მკვლევართა ერთი ნაწილი მიაკუთვნებს ფრაზეოლოგიურ სისტემას ხოლო მეორე არა. მაგალითად ლ. ლეჟავას ამბობს „ანდაზა არაა ფრაზეოლოგიური ერთეული რადგან იგი ხალხური სიტყვიერების ნიმუშია, მხატვრული ნაწარმოებია, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული ენობრივი ერთეულია და იგი ლექსიკოლოგიის შემადგენლობაში შედის. ამიტომ ანდაზა არ არის ფრაზეოლოგიური ერთეული“ (ლ. ლეჟავა, 1959;143) . მაგრამ ამ მოსაზრებას არ იზიარებს მ.რუსეიშვილი, რადგან „ამ დასკვნის მიხედვით ანდაზის არაენობრივი ბუნების გამო, ენათმეცნიერებამ შესაძლოა შეისწავლოს მხოლოდ ანდაზის ენა და არა ანდაზა მთლიანად, როგორც ერთეული“. (ა. რუსეიშვილი 2005;8) პროფესორმა მ. რუსეიშვილმა ანდაზა მონოგრაფიულად გამოიკვლია ყველა შესაძლო მიმართულებით. იგი იზიარებს იმ მეცნიერთა შეხედულებას რომელთაც ანდაზა არ შეაქვთ ფრაზეოლოგიურ სისტემაში და ამ მოსაზრების გასამყარებლად რამდენიმე არგუმენტი მოყავს. წარმოგიდგინო მის მიერ მოყვანილ არგუმენტებს: “ ა) ანდაზა ზოგადრეფერენტული ერთეულია, ხოლო ფრაზეოლოგიურ ერთეულს კონკრეტული რეფერენტი აქვს. ბ) ფრაზეოლოგიური ერთეული სამყაროს რაიმე მოვლენის სენსორულ-ფიზიკური,ზედაპირული შთაბეჭდილების ხატოვანი ნომინაციაა, ხოლო ანდაზას საფუძვლად უდევს ადამიანის მიერ სამყაროს სიღრმისეული, შინაგანი კანონზომიერების ხატოვანი გააზრება. გ) ანდაზა წინადადებაა, ხოლო ფრაზეოლოგიური ერთეული შეიძლება ორწევრა ფრაზაც იყოს“ (რუსეიშვილი 2005;9) ამ არგუმენტების საფუძველზე მკვლევარია მბობს რომ ანდაზა არ არის ფრაზეოლოგიური ერთეული.

მკვლევართა მსჯელობის საგანს წარმოადგენს აგრეთვე ანდაზის სხვა ენობრივ წარმონაქმნებთან (აფორიზმი, თქმულ;ება, იგავი...) მიმართება. მათი ერთი ნაწილი ფიქრობს რომ აფორიზმი და ანდაზა განსხვავებული წამომავლობის მქონე ერთეულებია. ისინი თვლიან რომ ანდაზა ხალხურია, ხოლო აფორიზმი-ლიტერატურული, და იგი ეკუთვნის ერთ კონკრეტულ ავტორს.

ანდაზის გენეზისის, ასევე ანდაზისა და მხატვრული ლიტერატურის ურთიერთობის საკითხები სპეციალურ ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის შესწავლილი (სიხარულიძე 1960).

ფოლკლორულ თუ საენათმეცნიერო გამოკვლევებში სათანადოდ განხილულია, აგრეთვე ანდაზისა და თქმულების, ანდაზისა და იგავ-არაკების მსგავსებ-განსხვავების საკითხებიც (ერთელიშვილი 1957; 102-109, ჯაში 1984 63-68)

პარემიოლოგიურ გამოკვლევებში მნიშვნელოვანი ყურადღება ეთმობა ანდაზების ფუნქციური ასპექტის შესწავლას, მაგრამ ზოგიერთი მკვლევრის აზრით ფუნქციური განსაზღვრა არ არის სრულყოფილი, ვინაიდან ანდაზის მსგავსი ფუნქციები სხვა ფოლკლორულ ჟანრებსაც შიძლება ჰქონდეთ.

სემიოტიკურ-თეორიული თვალსაზრისით გამოყოფენ ანდაზის სამ სტრუქტურულ-სემანტიკურ ნიშანს; ანდაზური ხატი, ანდაზური ინფორმაცია და ანდაზის არქიტექტურული ფორმულა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ სტრუქტურული თვალსაზრისით შესაძლოა ანდაზის მსგავსი სხვა ფოლკლორული ჟანრებიც იყოს, მაგრამ ანდაზაში საინტერესო და გადამწყვეტი სწორედ მისი ფუნქციური და სტრუქტურულ სემანტიკური ასპექტთა ურთიერთმიმართებაა, ამიტომ საჭიროა ყოველთვის ხაზი გაესვას ანდაზის ფუნქციურ ასპექტს. ამის უგულებელყოფა შეუძლებელია (ჯაში 1984; 66).

თითოეული ანდაზა წინადადებაა, რაც იმას ნიშნავს, რომ ანდაზათა ლინგვისტური ანალიზის დროს უნდა გამოვიყენოთ თანამედროვე ლინგვისტური მოძღვრება წინადადების შესახებ. ეს არის, წინადადების ლინგვისტური მოდელირების თეორია და ის სამი ძირითადი ასპექტისაგან შედგება. ესენია: 1) სინტაქსური (სტრუქტურული) მოდელირება, 2) სემანტიკური მოდელირება 3) პრაგმატული მოდელირება. ანდაზების ღრმა საფუძვლიანი კვლევისათვის ამ ასპექტების გამოყენება აუცილებელი და ძალიან მნიშვნელოვანია.(ჯაში 1988;11)

ყოველივე ზემოთ არსებული ინფორმაცია თუ კვლევა მნიშვნელოვან ინფორმაციის წყაროს და რესურს წარმოადგენს და მე დარწმუნებული ვარ რომ იგი აუცილებლად დაეხმარება მომავალ პარემიოლოგებს კვლევის პროცესში.

თავი 2. კულტურულ ღირებულებათა ასახვის სემანტიკური თავისებურებანი ინგლისურ და ქართულ ენაში

2.1 ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა

“როგორც ქართველები ისე ინგლისელები უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ხალხია. ორივე ეთნოსმა ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე შეიმუშავა მდიდარი და მრავალმხრივი ტრადიციები, რომლებიც ყველაზე კარგად ასახულია ანდაზებში. ეს მცირე ზომის ტექსტები თავისი მნიშვნელობითა და შინაარსით გრანდიოზულია. ანდაზები უპირველესყოვლისა წარმოადგენს მორალურ კოდექსს. ზნეობა ანდაზების წამყვანი თემაა. ანდაზები გვიქადაგებს სამშობლოს სიყვარულს, კაცთმოყვარეობას, სტუმართმოყვარეობას, სიკეთეს, სამართლიანობას თავმდაბლობას და ა. შ.”. (შიოშვილი 1988;3)

ინგლისური და ქართული ანდაზების თემატიკა ძალიან ფართოა, სწორედ ამიტომ ჩვენ განვიხილავთ დიდ თემატურ ჯგუფებს , რომლებიც უფრო ფართოდ გამოიყენება და მეტად აქტუალურია.

ა) ანდაზები ოჯახის მახასიათებლებზე და ნაციონალურ თავისებურებებზე

ოჯახი საზოგადოებისთვის წარმოადგენს ძირითად სოციალურ ინსტიტუტს , რომლის საშუალებითაც იქმნება კულტურა. ოჯახი არის საფუძველთა საფუძველი, და მასზე იქმნება ყველა დანარჩენი სოციალური ფორმა. ოჯახის სისტემა უზრუნველყოფს საძირკველს, რომელზეც შენდება კულტურაც და ცივილიზაციაც.

ცნება ოჯახი ყველა კულტურის ადამიანისათვის ერთია თუმცა მიუხედავად ამისა ყველა ოჯახს გააჩნია საკუთარი ცხოვრების სტილი, წეს-ჩვეულებები და ტრადიციები, რომლებიც სხვა ოჯახებისგან გამოარჩევს მათ. ოჯახის კულტურას განსაზღვრავს მათი ყოველდღიური ცხოვრების წესი და ეს ყველაფერი მათი საქმიანობის ყველა სფეროზე აღინიშნება და ამჩნევს კვალს.ეს სფეროებია:

- ოჯახური ტრადიციები და ჩვევები
- მშობლიური სახლი და ყოფა.
- ურთიერთდამოკიდებულება ოჯახში
- ოჯახის აღმზრდელი პოტენციალი
- მშობელთა ავტორიტეტი
- რელიგიისადმი დამოკიდებულება
- დასვენების ხასიათი და შინაარსი და სხვა..

განვიხილოთ ინგლისური ოჯახისათვის დამახასიათებელი თავისებურებები და სპეციფიკური ნიშნები. ეს ყველაფერი მათ მორალური ნორმების, ტრადიციებისა და ნაციონალური ჩვევების საფუძველზე ჩამოუყალიბდათ. ინგლისელებისთვის დამახასიათებელია ისეთი მენტალური თვისებები როგორცაა ოჯახური კერის განდიდება, პირადი ცხოვრების ხელშეუხებლობა და კერძო საკუთრების კულტი. ურთიერთობაში კი მათ ახასიათებთ თავაზიანობა და თვითშეკავება. ისინი გრძნობენ ერთს მაგრამ გამოხატავენ სულ სხვას. არსდროს აჩვენებენ საკუთარ გრძნობებს ღიად სხვას და არც არავის სთხოვენ რჩევას ან დახმარებას.

ტრადიცია ინგლისელებისთვის ასოცირდება რაღაცის მიერ დროის ღირეული გამოცდის გავლასთან და ისინი ფიქრობენ რომ ტრადიცია აუცილებლად უნდა შენარჩუნდეს და გადაეცეს მომავალ თაობებს. ოჯახის წევრებს შორის ურთიერთობას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს მათთვის ვინაიდან ოჯახი და ოჯახის სიმშვიდე მათთვის უმნიშვნელოვანესია. ოჯახურ ტრადიციებს ინგლისელები მუდმივად ამდიდრებენ შინაარსობრივად რადგან ეს ხელს უწყობს ოჯახის სიცოცხლისუნარიანობის სრულფასოვან ორგანიზებას. ინგლისელები მკაცრად ინარჩუნებენ წლების მანძილზე ჩამოყალიბებულ ტრადიციებს და წეს- ჩვეულებებს და იგივეს ითხოვენ საკუთარი შვილებისგანაც.

ყველაფერი რაზეც ჩვენ აქამდე ვისაუბრეთ გამომდინარეობს იმ ანდაზებიდან რომლებიც ქვემოთ გვაქვს მოცემული. მათში აღნიშნულია როგორც ოჯახის შესახებ ინფორმაცია აგრეთვე ბავშვის აღზრდის შესახებ მათი დამოკიდებულება.

განვიხილოთ შემდეგი ანდაზები:

A wise son makes a glad father	გონიერი შვილი მამის სიხარულია
A man who has not been flogged is not educated	ვინც არ გაუროზგავთ ის არც აღუზრდიათ
Likefather like son	როგორც მამაა ისეთივეა შვილი
Children must be seen but not be heard	ბავშვებს უნდა ხედავდე და არ უნდა გესმოდეს
A child have too much of his mother's Blessing	დედა თავისი სიყვარულით შვილს აფუჭებს
A woman's place is in the home	ქალის ადგილი სახლშია
Every family has a black sheep	ოჯახში მახინჯიც ჩნდება
Marriages are made in heaven	ქორწინება ზეცაში დგება
Men make houses,women make homes	მამაკაცები ქმნიან სახლს, ქალები კერას

აღნიშნული მაგალითები გვიჩვენებს მათ დამოკიდებულებას ოჯახისადმი ქალისადმი და ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით. ისინი ფოქრობენ რომ ქალების გარეშე შეუძლებელია კარის შექმნა, რაც უნდა კარგი იყოს კაცი თუ ქალი არ ვარგა თუ ოჯახი ოჯახს არ ემგვანება. მათთვის სახლი დიდი საგანძური და ციხესიმაგრეა რომელიც ტრადიციებზეა აგებული.

რაც შეეხება ბავშვის აღზრდას ისინი თვლიან რომ ბავშვი მკაცრად უნდა აღიზარდოს ყველანაირი მოფერებისა და გათამამების გარეშე. ბავშვი დედამ არუნდა გაათამამოს და მოფერებას არუნდა მიაჩვიოს. ისინი საკუთარ შვილებს ცივად ექცევიან და არასდროს ათამამებენ კალთაში ჯდომით. ბავშვებსაც გაზრებული აქვთ ეს ყოველივე და იციან თუ სად არის მათი ადგილი. ეს ყველაფერი კარგად გვაქვს წარმოდგენილი ანდაზებში.

რაც შეეხება ქართულ ანდაზებს მასში ოჯახის კულტი წარმოდგენილია როგორც ყველაზე მნიშველოვანი რამ ადამიანსთვის. ოჯახურ ტრადიციებს ქართველი ხალხი დიდ პატივს სცემს და ყველაზე წინ აყენებს. ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით კი ანდაზებში იგივე მოსაზრება აქვთ გამოთქმული თუმცა ის რეალობისგან

განსხვავებულია. ქართულ ანდაზებში გამოთქმულია აზრი რომ ბავშვი მკაცრად უნდა აღზარდოს თუმცა ქართველი მშობლები ამის საპირისპიროდ იქცევიან. მათ არ შეუძლიათ შვილს ცუდად მოექცნენ ან სიცივე გამოვლინონ მათ მიმართ. შვილს ქართველი დედა ვერასდროს მოექცევა ცივად და ვერ გაზრდის მკარი წესების დაცვით. განვიხილოთ რამდენიმე ქართული ანდაზა ოჯახზე და ბავშვის აღზრდის თემატიკაზე:

ბავშვი აკვანშივე იცნობაო; ბავშვი ოჯახის სარკეაო; ბავშვს არ გაუცინო თავზე წამოგაჯდებო; ბავშვისაგან გაიგებ ოჯახის ავსაცა და კარგსაცაო; დედა ნახე მამა ნახე შვილი ისე გამონახე; დედამ შვილ ოჯახის პატივისცემა უნდა ასწავლოსო; დედ-მამის მოყვარულ შვილს შთამომავლობა დააფასებსო; ოჯახი გაქებს ოჯახი გაგინებსო; ოჯახის სიმდიდრე კატითა და ძალით იცნობაო; ოჯახს უმცროს-უფროსობის მაღლი აძლიერებსო; ოჯახის ძლიერება ქალის ჭკუაზე და კაცის ჯიბეზე ჰკიდიაო. (<https://novatori.files.wordpress.com/2011/02/andazebi.pdf>).

აღნიშნული ანდაზებიდან შეგვიძლია ვთქვათ, რომ ბავშვის აღზრდასთან დაკავშირებით ინგლისელი და ქართველი ხალხი ერთნაირი შეხედულებების მქონეა, თუმცა რეალობა ქართულ ოჯახს სრულიად განსხვავებულია დღეს.

ბ) ანდაზები შრომის თემატიკაზე.

შრომა მორალის მოქმედების მნიშვნელოვანი სფეროა, რომელიც მოიცავს ადამიანის მიერ განხორციელებულ ყველა საზოგადოებრივ-სასარგებლო საქმიანობას. შრომითი ზნეობრიობის ცნება მოიცავს ორ ძირითად საკითხს; მშრომელის დამოკიდებულებას საზოგადოებისადმი მთლიანად და ერთობლივი საქმიანობის მონაწილეებს შორის ურთიერთდამოკიდებულების ნორმებს(ეთიკის ლექსიკონი 1975;134)

ანდაზები შრომის შესახებ გვეუბნება, რომ ადამიანი თუ შრომობს იგი ნამდვილად ღირსეულია. ქართულ ანდაზებში შექებულია მშრომელი ადამიანი და აღსანიშნავია რომ მას ყველა დიდ პატივს სცემს განსხვავებით ზარმაცისგან. „შრომა უდიდესი სიქველეს ამ ქვეყნად და არც არაფერი ამშვენებ ისე ვაჟკაცს, როგორც შრომაში გამოჩენილი სიმამაცე. (გამსახურდია 1984; 129)

შრომა ესარის ყველაზე მნიშვნელოვანი რამ ადამიანისთვის რადგანაც შრომის გარეშე თავად ადამიანიც კი არ იარსებებს. შრომა არის ყველაფრისთვის აზრის მიმცემი. ინგლისურ ანდაზებში შექებულია მშრომელი კაცი. განვიხილოთ რამდენიმე მათგანი:

ინგლისური ანდაზები შრომაზე	მათი ქართული თარგმანები
----------------------------	-------------------------

Actions speak louder than words	საქმენი უფრო ხმამღლა დალადებენ ვიდრე სიტყვები
Constant occupation prevents temptation	საქმით დაკავებული ცდუნებისგან დაზღვეულია
Employment is enjoyment	მუშაობა გართობააო
If you long for pleasure you must labour hard to see it	თუ სიამოვნება გსურს იშრომე და მოიპოვეო
All things are difficult before they are easy	საქმე დაწყებისას ძნელია შემდეგ გაადვილდება
Business before pleasure	ჯერ საქმე მერე დასვენება
Business is the salt of life	საქმე ცხოვრების მარილია
A hard beginning makes a good end	ძნელმა დასაწყისმა კარგი დასასრული იცის

ამ ანდაზებიდან შეგვიძლია ის აზრი გამოვიტანოთ, რომ ინგლისლები ძალიან მნიშვნელოვნად თვლიან შრომას. მათთვის უპირველესად საქმის გაკეთებაა მნიშვნელოვანი ხოლო დანარჩენი ყველაფერი შრომის შემდეგ ხდება. ჩემი აზრით ადამიანმა თუ არ იშრომა მას ლუკმა პურიც კი არ ექნება და რა საკვირველია რომ ულუკმაპუროდ ადამიანი ვერ იარსებებს. ყველამ უნ და გაითვალისწინოს ის რომ თავისით არაპერი მოდის ამ ცხოვრებაში და თუ გვსურს რომ რამე გაგვაჩნდეს ხელი უნდა გავძრიოთ ვიშრომოთ და აუცილებლად გვექნება ის რაც გვსურს.

რაც შეეხება ქართულ ადაზებს შრომა მათშიც იგივე კონტექსტით არის წარმოდგენილი. ქართველი ხალხი უძველესი დროიდან მოყოლებული შრომობს ბრძოლობს იმისათვის რომ გააძლიეროს საკუთარი ოჯახი და ქვეყანა. ამიტომ საკვირველი არ არის რომ ქართულ ანდაზებშიც შექცებულია შრომა და მშრომელი ხალხი.

განხილული ინგლისური ანდაზები ერთნაირ მიდგომას, შრომისადმი ერთნაირ დამოკიდებულებას ამჟღავნებენ. მსგავსია მათი სემანტიკა მაგრამ ერთსა და იმავე მოვლენას ისინი სხვადასხვაგვარად ასახავენ . მაგალითისთვის განვიხილოთ თითო

ანდაზა როგორც ქართულიდან ისე ინგლისური ანდაზური ფონდიდან. მაგალითად ქართულ ანდაზას “ჯერ შრომა მერე ხტომა” ინგლისურში შეესაბამება „ჯერ საქმე, მერე დასვენება“. ამ ანდაზებს სტრუქტურა განსხვავებული აქვთ თუმცა თანმიმდევრობა მსგავსია. ორივეში ჯერ შრომაა მნიშვნელოვანი და დანარჩენი ყველაფერი საქმის შემდეგ

გ) სიზარმაცის ანდაზური გმოზა

შრომა როგორც ქართულ ისე ინგლისურ ანდაზებში დადებითად არის შეფასებული დაის ყველაფრის საწყისად მიიჩნევა. რაც შეეხება სიზარმაცეს ინგლისელი ხალხი უარყოფითად აფასებს ზარმაც ადამიანს რაც ძალიან კარგად ჩანს ქვემოთ მოცემულ ინგლისურ ანდაზებში:

A work ill done must be done twice	ცუდად გაკეთებული საქმე მეორედ უნდა გაკეთდეს
Constant occupation prevents temptation	საქმით დაკავებული ცდუნებისგან დაზღვეულია
Lazy sheep thinks its wool heavy	ზარმაც ცხვარს თავისი მატყლი ემძიმება
Easy makes thief	უქნარობა კაცს ქურდობამდე მიიყვანს
An idle brain is the devil's workshop	უქნარა ტვინი ეშმაკის სახელოსნოა

როგორც ინგლისელი აგრეთვე ქართველი ხალხიც უარყოფითად აფასებს სიზარმაცეს და გმობს მას. ზარმაცი კაცი არავისთვის მოსაწონი და მისაღები არ არის. ამის ნათელი მაგალითებია ქართული ანდაზები:

ზარმაცისათვის ნიადაგ უქმეა	ვინც არას დასთესს არას მოიმკისო
ზარმაცი და ავეცია წუთისოფლის ბარგია	ზარმაც მწყემსს საქონლის მობრუნება შორიდან ურჩევნიაო

სიზარმაცე ბოროტების დედააო	მუქთად ჯდომას მუქთად შრომა ჯობიაო
სიზარმაცე სიღარიბის გასაღებია	ზარმაც კაცს საკუთარი ხელფეხი ნათხოვარი ეგონაო
ზარმაცისთვის სულ უქმეაო	ზარმაც ცხენს დეზი უნდა ჰკრაო
ზარმაცმა ვერც ყანა მოხნა და ვერც პური მოიყვანაო	ზარმაცი და ბრიყვი შვილი მამას ეჯიბრებოდაო

როგორც ვხედავთ ქართულ ანდაზებში სიზარმაცე მკაცრად არის გაკიცხული და უარყოფითად ფასდება როგორც სიზარმაცე ისე ზარმაცი კაცი. თუ არ იმუშავე და ხელი არ გააანძრე არაფერი გექნება. „ვინც არას დასთესს, არას მოიმკისო“ სწორედ ასეა თუ არაფერი დათესე ვერაფერს მოიმკი და არც არაფერი გექნება. სიზარმაცეს კარგი არასდროს არაფერი მოუტანია ადამიანისთვის და არც არასდროს მოუტანს.

ორივე ეთნოსი ანდაზებში წარმოგვიდგენს შრომის დადებით, ხოლო სიზარმაცის უარყოფით თვისებებს. შრომა მათთვის დაკავშირებულია წარმატებასთან და კეთილდღეობასთან ხოლო სიზარმაცე უგნურებასთან და სიღარიბესთან.

ილია ჭავჭავაძე „მგზავრის წერილებში“ წერს :“ მოძრაობა და მხოლოდ მოძრაობა არის...ქვეყნის ღონისა და სიცოცხლის მიმცემი....“(ჭავჭავაძე 1988;23) ილია ამის მაგალითად ერთმანეთთან აპირისპირებს მცინვარსა და თერგს. თერგს აფასებს როგორც სიცოცხით სავსეს მჩქეფარეს და დაუოკებელს რომელიც მოძრაობით არის ასეთი თუკი ის გაჩეერდება მაშინ მასში ბაყაყები დაიწყებენ ყიყინს. ხოლო მცინვარს იგი აფასებს როგორც დიდებულ ქმნილებას მაგრამ უმოძრაოს რომელსაც არანაირი სარგებელი არ მოაქვს ადამიანებისთვის. ის ტკბება იმ სიცოცხლისუნარიანობით სიცელქით და სისწრაფით რაც თერგს გააჩნია.

ანდაზებშიც სწორედ იგივე აზრია გადმოცემული ვიანიდან მოძრაობა და შრომა არის ყოველივე კარგის საწინდარი.

ინგლისელებს და ქართველებს ერთნაირი შეხედულებები აქვთ შრომასთან და სიზარმაცესთან დაკავშირებით.ერთნაირი შეხედულებები აქვთ აგრეთვე საკუთრებასა და საზიარო საქმესთან და დაკავშირებითაც. განვიხილოთ ანდაზები:

Everybody’s business is nobody’s business (ყველას საქმე არავისი საქმეა) ქართულში აღნიშნულ ანდაზას შეესაბამება „ზიარი ძროხა მგელმა შეჭამა“ კიდევ გვაქვს

მოცემული ანდაზები მუშაობასთან დაკავშირებით რომელთა შინაარსი ერთმანეთის მსგავსია; he works best who knows his trade (ყველაზე კარგად ის მუშაობს ვინც თავისი ხელობა იცის) ქართულში ამის მსგავსია; კარგი ხელოსნის ნახელავი ყველას ჯობია. კარგ მუშაობასა და კარგ ნახელავზე ინგლისელებს და ქართველებს ერთნაირი შეხედულებები აქვთ.

დ) ანდაზები სიკეთესა და ბოროტებაზე

ყველამ კარგად ვიცით თუ რას ნიშნავს სიკეთე და ბოროტება თუმცა ყველა ადამიანს თავისებურად წარმოესახება გონებაში ეს ორი ცნება. სიკეთე ადამიანისთვის ნიშნავს რაიმე კეთილ, კარგ ქცევას, რომელსაც კეთილდღეობა მოაქვს ხალხისთვის. ხოლო ბოროტება სიკეთის საპირისპირო ცნებაა და იგი დაკავშირებულია რაიმე ცუდთან ავის მომტან ქცევასთან

„ინგლისური ლექსიკონების მიხედვით სიკეთე დადებითი მორალური ხარისხია, რაც დასაშვებია და გამართლებულია მორალურად, სიკეთე არის ის რაც ემორჩილება მორალურ წესებს, მოაქვს სარგებელი, უპირატესობა, გაუმჯობესება, რასაც აქვს დადებითი თვისებები. ინგლისელებია აზრით ბოროტება უკავშირდება ყველაფერს ცუდს .ეს შეიძლება იყოს ცუდი საქციელი, ტრაგედია საზიანო ქცევა და ა.შ.“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

ინგლისურ ენაში გამოყოფილია „სიკეთის“ შემდეგი კატეგორიები:

- დადებითი მორალური თვისებები
- დადებითი ქმედება, საქციელი

ბოროტება ინგლისურ ენაში შემდეგნაირადაა გააზრებული:

- რაღაც ცუდი, მავნე, ცოდვიანი
- ცუდი ქმედება
- უბედურება, არასასიამოვნო

ინგლისურ ენაში არსებული სიკეთისა და ბოროტების გააზრება მისაღებია ქართული ენისთვისაც.

„ინგლისურ ანდაზებში სიკეთე , კარგი ქცევა, დადებითი თვისება გამოხატულია კონცეპტით „good“ .“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

A good heart conquers ill fortune	კარგი გული უბედურებას
-----------------------------------	-----------------------

	ამარცხებს
A good life makes a good death	კარგი სიცოცხლე კარგ სიკვდილს უზრუნველყოფს
Virtue is its own reward	სათნოება თავისთავად ჯილდოა
Virtue and happiness are mother and daughter	სათნოება და ბედნიერება ისეს როგორც დედა და ქალიშვილი
Virtue is the only true nobility	სათნოება ერთადერთი ჭეშმარიტი კეთილშობილებაა

“რაც შეეხება ბოროტებას, რაიმე ცუდ მავნე ქცევას აღნიშნული ცნებები ინგლისურში წარმოდგენილია კონცეპტით „evil”.”

(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf). განვიხილოთ ამის მაგალითები:

A wicked man is his own hell	ბოროტი კაცი ჯოჯოხეთს იქმნის
One hates not person but the vice	ადამიანი სძულთ და არა ნაკლი მისი
Covetousness is the roof of all evil	სიხარბე ყველა ბოროტების საძირკველია
He that has done ill once will do it again	ერთხელ ბოროტების ჩამდენი მეორედაც გაიმეორებსო
Sin is the roof of sorrow	ცოდვა მწუხარების თავი და თავია

კაცობრიობის გაჩენის დღიდან არსებობს ურთიერთდაპირისპირება სიკეთისა და ბოროტებისა. აღსანიშნავია რომ ყოველთვის სიკეთე იმარჯვებ და სძლევს ბოროტებას. სიკეთე ყველა ეთნოსისთვის ერთნაირად აღიქმება და იგი დაკავშირებულია ყველაფერ კარგთან. შოთა რუსთაველმა აღნიშნა თავის „ვეფხისტყაოსანში“: „ბოროტსა სძლია კეთილმან, არსება მისი გრძელია“. ბოროტება კი ყველა ეთნოსისთვის ერთნაირად არის გააზრებული და იგი უკავშირდება ცუდს, ავს ბოროტ ქმედებას, ის ცუდის მომასწავლებელია ყველასთვის, განსხვავებით სიკეთისგან, ვინაიდან სიკეთეა სწორედ რომ კაცობრიობის პროგრესის დასაბამი.

სხვა ეთნოსების მსგავსად სიკეთე ქართულშიც დადებითადაა შეფასებული, ხოლო ბოროტება უარყოფითად. „ბოროტებისა და სიკეთის ურთიერთდაპირისპირება, ბოროტების გაკიცხვა დაგმობა და სიკეთის ქადაგება ყოველთვის იყო და არის ხალხური ანდაზების ერთ-ერთი აქტუალური და საყვარელი თემა”. (შიოშვილი 1988;20). სიკეთე შექმნილია და განდიდებული შემდგომ ქართულ ანდაზებში:

სიკეთე მზის შუქსა ჰგავს ანათებს და ათბობსო
გაცემულ სიკეთეს არ ივიწყებენო
სიკეთე ისეთი რამ არის რასაც ადამიანი ვერასოდეს შეიგრძნობს და დაფასებაზე ლაპარაკიხომ სულ ზედმეტიაო
სიკეთის ფასი არაფერია ამქვეყნად
სიკეთე ძალსაც არ დაავიწყდებაო
ერთი ფული გაცემული საიქიოს დაგიხვდება
სიკეთე ქვაზე დადე გაიარე წინ დაგხვდება

აქ განხილული ანდაზებიდან შეგვიძლია დავასკვნათ რომ ძველი დროიდან მოყოლებული დღემდე სიკეთე ფასობს ყველგან და ყოველთვის. ჩვენ ადამიანებმა ყოველთვის სიკეთე უნდა ვაკეთოთ და თავი შორს უნდა დავიჭიროთ ავი, ცუდი ქმედებისგან. ყოველთვის სიკეთე უნდა დავეთესოთ რათა მომავალში წინ დსაგვხვდეს. ისე უნდა მოვექცეთ ადამიანებს, როგორც ჩვენ გვინდა რომ გვექცეოდნენ და არასდროს არავის არ გავუკეთოთ ცუდი. დავიმახსოვროთ, რომ სიკეთე ყოველთვის გაიმარჯვებს ბოროტებაზე.

განვიხილოთ ქართული ანდაზა - „ღვარძლს თუ დასთეს, ხორბალს ვერ მოიმკიო“, ამ ანდაზაში პირდაპი არის გადმოცემული ის, რომ ბოროტების კეთებით სიკეთეს ვერ მივიღებთ. რასაც დავეთესავთ სწორედ იმავე მოვიმკით. ამიტომ კიდევ ერთხელ განვმეორდები და ვიტყვი რომ ვაკეთოთ სიკეთე და მხოლოდ სიკეთე და ყოველივე ეს ვასწავლოთ ჩვენს შვილებს რათა კეთილები და ღვთის მოყვარულები გავზარდოთ.

ქართველებს ერთნაირი დამოკიდებულება აქვთ ბოროტებასა და შურთან მიმართებაში. ორივე მათგანი უარყოფითადაა შეფასებული ანდაზებში. განვიხილოთ რამდენიმე ანდაზა შურზე:

შურიან კაცს მეზობლის ვარდი თვალში ეკლად ეჩხირებოდაო
შური რწმენას ისე ჭამს როგორც ცეცხლი შეშას
შურიანები კვდებიან შური კი ისევ რჩებაო
შურმა ღირსება არ უნდა დაგაკარგვინოსო
შურმა შური ვერ იგუა ორივემ კი სიკეთეო
ხარბის თვალს მიწა გააძღვებო
ხარბი სანამ არ გაიფცქვნება არ გაიქცევაო
ხარბი რომ სარგებელში შევა კვნესას მოუმატებო

მოყვანილი მაგალითები და ზოგადად ზემოთ განხილული ანდაზები ერთგვარი ანდერძია, რომელიც წინაპრებმა დაგვიტოვეს. ჩვენ ისღა დაგვრჩენია შევისწავლოთ გავიზაროთ და გამოვიყენოთ და გავითვალისწინოთ მათში გამოთქმული ბრძნული აზრები და გადავცეთ მომავალ თაობებს უფრო სრულყოფილად შესწავლილი და გამოკვლეული.

ე) ანდაზები მეგობრობაზე

ნამდვილი მეგობარი ეს არის უდუდესი განძი ადამიანისთვის, რადგან ყველას არ შეუძლია იყოს ნამდვილი და კარგი მეგობარი, ამიტომ თუ ადამიანს ყავს ასეთი მეგობარი გვერდით მას ნამდვილად ძალიან გაუმართლა ცხოვრებაში. მეგობრობა არც ანდაზებში რჩება შეუმჩნეველი. ქართულ და ინგლისურ პარემიოლოგიურ ფონდში მრავლად გვხვდება ანდაზები მეგობრობის შესახებ. უკეთ გასააზრებლად საჭიროა განვიხილოთ მაგალითები როგორც ინგლისური ანდაზებისა აგრეთვე ქართულისა და შემდგომში მოვახდინოთ მათი შედარება. ეს დაგვეხმარება უკეთ დავინახოთ ამ ორი ეთნოსის შეხედულებები მეგობრობასთან დაკავშირებით და შემდგომ ვისაუბროთ მსგავსებებსა და განსხვავებებზე. განვიხილოთ ინგლისური ანდაზები:

ინგლისური ანდაზები	ქართული თარგმანი
A man is known by the company he keeps	ადამიანი მეგობრის წრით იცნობა

A friend to all is friend to none	ყველას მეგობარი არავის მეგობარია
A friend's eye is a good mirror	მეგობრის თვალი კარგი სარკეა
False friend are worse than open enemies	ყალბი მეგობარი ღია მტერზე უარესია
Friendship is love with understanding	მეგობრობა არის სიყვარული გაგებით
A friend at hand is better than a relative at a distance	ახლო მეგობარი შორეულ ნათესავს ჯობსო

როგორც ვხედავთ ინგლისელები აფასებენ ნამდვი, ერთგულ მეგობარს. მათთვის მეგობარი ძალიან მნიშვნელოვანია, იმდენად რომ შორეულ ნათესავსაც კი ურჩევნიათ. ახლა განვიხილოთ ქართული ანდაზები მეგობრობაზე:

კაი ამხანაგობა კაი ძმობის დარიაო
მშიშარა მეგობარი მტერზე უარესიაო
ნამდვილი მეგობარი ჭირში გამოიცნობაო
რკინა რკინით ილესება კაცი მეგობრითაო
ნუ დაჰკარგავ ძველსა გზასა, ნურცა ძველსა მეგობარსა
კაცი მეგობრით იცნობაო
ამხანაგთან მრუდედ მოქცევა ქურდობა და ავაზაკობააო

წარმოდგენილი ანდაზებიდან კარგად ჩანს რა დამოკიდებულება აქვთ ქართველებს და ინგლისელებს კარგ მეგობართან. კარგი მეგობარი, როგორც უკვე ვთქვით დიდი განძის მაგრამ მნიშვნელოვანია რომ ჩვენც კარგი მეგობრობა გავუწიოთ სხვას და ვიყოთ ისეთები როგორიც მეგობრებიც გვინდა რომ გვყავდეს.

ვ) ანდაზები სიყვარულზე

სიყვარული არის ყველაზე ამაღლებული გრძნობა დედამიწაზე. თუ ადამიანს სიყვარული შეუძლია ის ნამდვილად კარგი და ღირსეული ადამიანია. ეს ყველაფერი კარგად გვაქვს წარმოდგენილი შემდგომ ინგლისურ ანდაზებში:

Where there is love,there is happiness-სადაც სიყვარულია იქ ბედნიერებაცაა
Love makes the world go around-სიყვარული ატრიალებს სამყაროს
Where there is love there is no darkness-სადაც სიყვარულია იქ სიბნელე არ არის
Love understands all languages-სიყვარულს ყველა ენა ესმის
Love will find a way-სიყვარული იპოვის გზას

ამ ანდაზებში ნათლად ჩანს როგორ აფასებენ ინგლისელი ხალხი სიყვარულს.ახლა განვიხილოთ ქართული ანდაზები სიყვარულის შესახებ:

ძლიერ სიყვარულს ძლიერი სიძულვილი მოსდევს
სიყვარული აგვამაღლებს ვით ეყვანი ამას ჟღერენ
სიყვარულმა სირცხვილი არ იცისო
სიყვარული ბრმაა
სიყვარული ცეცხლი არაა მაგრამ დასწვავს და ვერც გააქრობო
სიყვარული დიდი ნიჭია
სიყვარული სიციცხლეში მხოლოდ ერთხელ მოდის

სიყვარული განსხვავებულად არის წარმოდგენილი გარკვეული კუთხით ქართულ ანდაზებში. რამდენიმე მათგანში საუბარია მის უარყოფით თვისებებზე თუმცა ეს მხოლოდ ქართულ ანდაზებში არგვაქვს მოცემული. სიყვარული ზოგის\თვის ფასდება როგორც ყველაზე ამაღლებული და სათნო გრძნობა მაგრამ ზოგი ადამიანი მას

უარყოფითად აღიქვამს და დამოკიდებულებაც შესაბამისი აქვს. მიუხედავად ამ ყველაფრისა ჩვენ შეგვიძლია ვთქვათ რომ სიყვარული ორივე ეთნოსისათვის მნიშველოვანი გრძნობაა იგი სამყაროს ატრიალებს, ქართველებისთვის სიყვარული უდუდეს ნიჭს წარმოადგენს. ეს მართლაც ასეა საბრალოა ის ვისაც სიყვარული არ შეუძლია. ანდაზებში იკვეთება საერთო დამოკიდებულება სიყვარულისადმი ქართველი და ინგლისელი ხალხისა.

განხილულმა ანდაზებმა და მათმა თემატიკამ გვიჩვენა რომ ანდაზები მეტად რთული ფენომენია. იგი საკმაოდ ფართო თემატიკის მქონეა. ჩვენ განვიხილეთ მხოლოდ რამდენიმე მათგანი თუმცა უნდა აღინიშნოს რომ აქ განხილული თემატიკის გარდა კიდევ უამრავ თემაზე გვაქვს მოცემული ანდაზები როგორც ქართულ ისე ინგლისურ ენებში.

2.2 სულიერი და მატერიალური კულტურის შემცველი ანდაზები

სულიერი კულტურა ყველაზე კარგად წარმოდგენილი გვაქვს პარემიებში. ეს ადამიანის არსებობის თანმდევი ნიშანია, რომელიც გაჩენის დღიდან ახასიათებს. აღნიშნული თვალსწრისის გათვალისწინებით გამოიყოფა პარემიები, რომლებიც დაკავშირებულია ხალხის წარსულთან, ისტორიულ მოვლენებთან, ასევე წეს-ჩვეულებებთან.“ ეს რეალიები მიეკუთვნება პროტოტიპის სახეს ენის გარეშე, რომელიც მიაწინებს პარემიების ჩამოყალიბებაში ექსტრალინგვისტური ფაქტორების არსებობაზე. სხვადასხვა ეთნოსის ანდაზური ტექსტები აღნიშნულ საკთხებს განსხვავებულად წარმოაჩენს, რაც ნათლად შესმჩნევია ინგლისურ-ქართული ანდაზების შედარებით ანალიზში.“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

„ მოცემული ინგლისური ანდაზა -“ When Adam delved and Eve span,who was then the gentleman?“ გენატიკურად უკავშირდება ერთ-ერთ ისტორიულ მოვლენას. კერძოდ XIV საუკუნეში ინგლისში სოციალური წინააღმდეგობა უკიდურესად გამწვავდა. მდაბიოები ქანცის გაწყვეტამდე მუშაობდნენ, შედეგად კი ვერაფერს იღებდნენ და ფაქტიურად შიმშილობდნენ. მათი შრომის შედეგად მდიდრები უფრო მდიდრდებოდნენ. მშრომელთა ეკონომიკურ სიდუხჭირეს დაემატა 1348-1349 წლებში გავრცელებული შავი ჭირის ეპიდემია. ხალხის მდგომარეობა უკიდურესად დაამძიმა მეფე რიჩარდ მეორის მიერ მკაცრი საგადასახადო პოლიტიკის გატარებამ. მშრომელი ხალხის დამცირება ყოველგვარ ზღვარს გადასცდ. სწორედ ამიტომ დაიწყო მსჯელობა საკუთარ წარმომავლობაზე „საერთო მშობლებიდან“ ადამ და ევადან.

მოცემული ანდაზის არსი იმაში მდგომარეობს რომ ადამი და ევა ჯენტლმენები არ ყოფილან და ისინი თანაბარი უფლებებით სარგებლობდნენ. ორივე თანაბრად

შრომოდა და არანაირი პრივილეგია არ გააჩნდათ. დღეს კი ვითარება სრულიად სხვაგვარია. ხალხის გულისტკივილს ნათლად და ლაკონურად გადმოსცემდა თავის ქადაგებებში სასულიერო პირი ჯონ ბოლი. იგი გახლდათ სახალხო მქადაგებელი და ლოლარდების იდეოლოგიც. ლოლარდები მონაწილეობდნენ გლეხურ-პლებეურ მოძრაობაში ინგლისსა და დასავლეთ ევროპის ზოგიერთ ქვეყანაში. ისინი არ ცნობდნენ კათოლიკური ეკლესიის პრივილეგიებს და მკაცრად აკრიტიკებდნენ ფეოდალური წყობილების უსამართლობას, ამათრახებდნენ მათ სიმდიდრეს და მანკიერებებს.“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

ეს ანდაზა გვხვდება აგრეთვე რუსულშიც, და ის ინგლისურიდანაა შესული, მაგრამ ოდნავ სახე აქვს შეცვლილი. ის ინგლისურის ზუსტი სიტყვასიტყვითი თარმანი არ არის და წარმოადგენს მხოლოდ ორიგინალის კონცეპტუალურ ორიგინალს. ეს იმიტომ მოხდა, რომ რუსულ ენას არ აქვს სიტყვა “ჯენტლმენის” შესატყვისი ან ზუსტად ამ მნიშვნელობის მქონე სიტყვა.

ისტორიული რეალიების ამსახველი ანდაზები ქართულ ენაშიც მოიძებნება. ერთ-ერთი ასეთი ანდაზა გახლავთ „ ნუგზარ ერისთვის დროსაო, სისხლის წვიმების დროსა“ „ნუგზარ ერისთავი იყო არაგვის ერისთავი XVII საუკუნის პირველ მეოთხედში. იგი მკაცრი მეთოდებით ცდილობდა ბატონყმობის დანერგვას მთაში. თავისუფლებას შეჩვეული მთის მოსახლეობისთვის კი ბატონყმობა მიუღებელი იყო. ნუგზარ ერისთავმა კი თავის საწადელს ცეცხლითა და მახვილით მიადწია.“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf) . სწორედ ამ მოვლენასთან დაკავშირებულ სისხლისღვრას ასახავს აღნიშნული ანდაზა-ლექსი.

ყოველი ანდაზის წარმოშობა დაკავშირებულია რაიმე მიზეზთან ან მოვლენასთან. შეიძლება ეს იყოს ისტორიული მოვლენა ან თუნდაც რაიმე თქმულება, აგრეთვე იგავ-არაკიც. თუმცა ყოველი მათგანი ზოგად პარამეტრებშია მოცემული და ამიტომ რთულია გავარკვიოთ მათი წარმოშობის ზუსტი საფუძველი.

„ინგლისურ ენაში სიტყვა“ჯენტლმენი“ გამოიყენება ფეოდალურ-არისტოკრატიული წარმომავლობის პიროვნების მიმართ, რომელსაც კარგი განათლება აქვს და გამოირჩევა სანიმუშო ყოფა-ქცევით. ქართულში კი ანაზების მიხედვით ადამიანის წოდებას მნიშვნელობა არ აქვს და იგი ფასდება თავისი თვისებებით: კაი ყმა, კარგი კაცი, გმირი, გულადი, მამცი, შეუდრეკელი, სამშობლოს ერთგული... თუმცა გვარიშვილობასაც დიდი მნიშვნელობა ენიჭებოდა. კარგ გვარიშვილობას ხშირად წინაპრების კარგი და კეთილი საქმიანობა ამკვიდრებდა. ქართული ანდაზების მიხედვით „კაცი თუ არ ვარგა, ჯილაგი რა საჭიროა“. „როსტომ თქვა: სიბერეკაცითა

სიტყვას არ უნდა რბილობა, თუ კაცი თვითონ არ არის ცუდია გვარიშვილობა“...“(https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

ქართული ანდაზები და ზოგადად ქართველი მწერლები უარყოფითად ახასიათებდნენ მაღალი საზოგადოების წევრებს, რადგანაც როგორც ჩვენთვის ცნობილია ისინი მხოლოდ საკუთარ თავზე ფიქრობდნენ. მათ არ ადარდებდათ ხალხი და მათი მდგომარეობა. ამის ყველაზე კარგი მაგალითი საქართველოში არსებული ბატონყმობის პერიოდია. ამას არ ეგუებოდა არც ხალხი და არც საზოგადო მოღვაწეები და სააშკარაოზე გამოჰქონდათ მათი ქცევები. მწერლებს საკუთარი ნაწარმოებების დახმარებით ხოლო ხალხს ანდაზებით. ქართველი ხალხისთვის გმირობა და კარგი კაცობა გვარიშვილობით არ განისაზღვრებოდა არამედ კარგი კაცობით ღირსებით და პატიოსნებით

გმირობასა და ვაჟკაცობას ინგლისური ანდაზები დადებითად აფასებენ. მაგალითად: „ Better a glorious death than a shameful life” -სახელოვანი სიკვდილი ჯობია სამარცხვინო სიცოცხლეს.(ქართ. „სახელოვანი სიკვდილი, სიცოცხლეს უტკბილესიაო“ან კიდევ „სჯობს სიცოცხლესა ნაზრახსა, სიკვდილი სახელოვანი“)

რაც შეეხება რიტუალებსა და ტარდიციებს ისინი ჭეშმარიტად სახალხო მოვლენებს წარმოადგენენ, რომლებიც საუკუნეების მანძილზე იქმნება და თაობიდან თაობას გადაეცემა. ისინი უშუალო კავშირში არიან ხალხის ყოფა-ცხოვრებასთან. წეს-ჩვეულებები უხვად გვაქვს წარმოდგეილი ნებისმიერი ეთნოსის ანდაზებში და აგრეთვე ანდაზურ თქმებში.

რაც შეეხება შინაბერობას, ის ინგლისურში უარყოფითად ხასიათდება. ინგლისური ანდაზა - Lead apes in hell არის ხატოვანი და მეტაფორული ტექსტი დაკავშირებულია ცრურწმენასთან და მის თანახმად შინაბერები სიკვდილის შემდეგ ჯოჯოხეთში მაიმუნების ძიძები იქნებიან, რადგან სიცოცხლეში მათ საკუთარი შვილები არ ყავდათ.

აღნიშნული თემატიკა უარყოფითად ფასდება ქართულ ანდაზებშიც. გაუთხოვარი, უშვილო ადამიანები უარყოფითად არიან დახასიათებულნი.

ქართული და ინგლისური ანდაზები გვიჩვენებს, რომ გაუთხოვრობა და უშვილობა ადამიანის ნაკლი იყო, ვინაიდან ისინი საკმაოდ უარყოფითად არიან შეფასებულნი. ინგლისურში გვაქვს კიდევ ერთი საიტერესო თემატიკის ანდაზები, რომლებიც წარმოადგენენ ერთი კონცეპტის ლექსიკურ და აზრობრივ სხვადასხვანაირ რეალიზაციას. „ინგლისური ჩვეულებების მიხედვით კეთილდღეობის ნიშნად მშობლები ახალდაბადებულ ბავშვს ჩუქნიდნენ ვერცხლის კოვზს საიდანაც წამოვიდა

მეტაფორული გამოთქმა „To be born with a silver spoon in one’s mouth” (პირში ვერცხლის კოვზით დაბადება) იგივე კონცეპტი ქართულ ენაში გადმოიცემა შემდეგნაირად : „პერანგში დაბადებული“ „დაბადებისას ქუდბედი დაყვაო“, „ბედნიერ ვარსკვლავზე დაბადებული“.(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf). ქართულ ანდაზებში ბედნიერება წარმოდგენილია უბრალოებით. ქართველი ხალხის აზრით ადამიანს ბედნიერებისთვის ოქრო-ვერცხლი არ ჭირდება.

აღნიშნული ინგლისური ანდაზა გაუგებარი არუნდა იყოს ქართველი ხალხისთვის რადგან ჩვენც გვაქვს ქართულში მსგავსი თემატიკის ანდაზები. ორივე ეთნოსის ანდაზებში გამოთქმულია აზრი ბავშვის დაბადებასა და მისი ბედნიერების განმსაზღვრელი ფაქტორების შესახებ. ინგლისელებს და ქართველებს ბედნიერებაზე განსხვავებული შეხედულებები აქვთ, კერძოდ: ინგლისელებს ბედნიერებად მიაჩნიათ სიმდიდრე. მათთვის ბედნიერება მხოლოდ მატერიალურ ღირებულებებთან არის დაკავშირებული. ქართველი ხალხი ამ საკითხს განსხვავებული კუთხით უდგება. მათ სხვა ღირებულებები გააჩნიათ და ამის მიხედვით თვლიან თავს ბედნიერად.

„რეალიების შემცველი ანდაზები და ანდაზური გამოთქმები, რომელთა საფუძველი ისტორიული მოვლენა ან ფაქტია, საჭიროებს დამატებით ისტორიულ-ეტიმოლოგიურ ინფორმაციას, რათა უცხო კულტურისათვის გასაგები გახდეს. ფრაზის შიდა კონტექსტი, რომელიც ხშირად აღიქმება ჩვეულებრივ, არამოტივირებულ მეტაფორად, წარმოადგენს ადრე არსებული გარკვეული ნაციონალურ-ისტორიული და კულტურული რეალიების ასახვას, რითაც ხდება სხვა კულტურის წარმომადგენელთა მიერ სინამდვილის კატეგორიზაციის თავისებურებების დეტერმინიზაცია.

რეალიების შემცველი ანდაზები რთული გასაგებია უცხოკულტურული რეციპიენტისთვის, რადგან ამ უკანასკნელის ანდაზებსა და ანდაზურ გამონათქვამებში რომლებშიც მსგავსი კონცეპტებია, აბსოლუტურად მსგავსი რეალიები არ არის. ეს დაკვირვება ადასტურებს ფაქტს, რომ ორი კულტურის ეკვივალენტური ტექსტები, რომელთაგან ერთ-ერთი შეიცავს მინიშნებას საგნებზე ან სულიერი კულტურის მოვლენებზე, ლექსიკურად სხვადასხვა ტექსტებს წარმოადგენენ, რომლებიც ხანდახან განსხვავდება თავისი კონცეპტუალური სისავსით“.(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

როგორც სულიერი ისე მატერიალური კულტურის შემცველი პარემიების კვლევა მნიშვნელოვანია ამ პროცესში. ამიტომ განვიხილოთ რამდენიმე მათგანიც. ინგლისელები ყოფა-ცხოვრებით რეალიებს წარმოადგენენ კერძების, სასმელების, ფულის ერთეულების, საზომი ერთეულების სახელწოდებებით. ინგლისურ ანდაზებში ყველაზე ხშირად კერძების აღმნიშვნელი ლექსიკური ერთეულები

გვხვდება . ერთ-ერთი ასეთი არის pudding. მაგ. “The proof of the pudding is the eating”, “better some of a pudding than none of a pie” და სხვა.

“to pick the plums out of the pudding”(შენთვის კარგი აირჩიო სხვებს კი ცუდი დაუტოვო). აღნიშნულ ანდაზებში გამოყენებული „ pudding“ ინგლისელებში ყველაზე მეტად გავრცელებული საშობაო კერძის სახელია, რომლის მომზადება ბევრ ხილს საჭიროებს.

„პირველმა მიირთვა გემრიელი კერძი - ადამიანისთვის დამახასიათებელი თვისებაა. რომელიც ყოველთვის იარსებებდა საზოგადოების მორალური კანონებით რომ არ გაკიცხულიყო. სწორედ ეს თვისება დაედო საფუძვლად აღნიშნული გამოთქმის წარმოქმნას. ე.ი. მოცემული თვისება გააზრებულ იქნა ხატოვნად და შეიქმნა მეტაფორული პარემია-“to pick the plums out of the pudding”, რომელშიც რეალიზდება კონცეპტი:“ აიღე შენთვის საუკეთესო“.

“(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

მატერიალური რეალიების ამსახველი ანდაზები ქართულ ანდაზურ ფონდშიც გვაქვს, თუმცა ისინი მეტწილად ზოგად სპექტრშია წარმოდგენილი. ქართულ ანდაზებში ძირითადად საუბარია პატიოსნად ნაშოვნს ლუკმაზე რომელიც კარგი კაცობით არის მოპოვებული. აგრეთვე ქართული ანდაზებში გადმოცემულია აზრი რომ “ღარიბი კაცის ლუკმა ტკბილია“. ეს ანდაზა მიგვანიშნებს იმაზე, რომ ღარიბი კაცი ლუკმა პურს საკუთარი შრომით პატიოსნად შოულობს და სწორედ ამიტომაა ის ტკბილი.

მაგ: ღარიბის ლუკმა ტკბილია

ლუკმა მაშინაა ტკბილი როცა კაი კაცობითაა ნაშოვნი.

შვიდ სადილზე შეესაწარი, შვიდი ლუკმა აიღეო

ძუნწმა კაცმა თაფლი გასცა და უკან მიყვა ლოკვითაო

ეს ანდაზები საკმაოდ ინფორმატიულია იმისათვის, რომ გავიგოთ რა შეხედულებები აქვთ ქართველებს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით.

ქართველებს გვაქვს ასეთი ტრადიცია:„ შვიდ სადილს თუ შეესწარი შვიდი ლუკმა აიღეო“, თუ ასე არმოიქცევი ეს მასპინძლისა და მისი ოჯახის უპატივცემულობად ჩაგეთვლება. გარდა ამისა ჩვენს ანდაზურ ფონდში მოიძებნენა ისეთი ანდაზებიც რომლებიც პირად ინტერესებს წინა პლანზე აყენებს.

მაგ: კუჭი ძმაზე ახლოაო,

კუჭი სჯის და კუჭი ფიქრობს

ჯერ თავო და თავო მერე ცოლო და შვილო

შენ ხილი იგემე მებადეს რას კითხულობო

მატერიალური კულტურის ამსახველი პარემიები ამ ორ ეთნოსს განსხვავებული აქვთ, რადგან საზომ ერთეულებად ისინი მათთვის ნაცნობ რეალიებს ირჩევენ და ეს რეალიები განსხვავებულ ეთნოსში სხვადასხვაგვარია. ისინი ერთმანეთისგან განსხვავდებიან როგორც ლექსიკურად ისე აზრობრივად და შინაარსიც სრულიად განსხვავებულია.

ინგლისურ ანდაზებში ძირითადად კომპონენტებად ვხვდებით მატერიალური კულტურის აღმნიშვნელ ლექსემებს, რომლებიც ფულის, მოცულობის და საზომი ერთეულების სახით არის წარმოდგენილი.

ინგლისელი და ქართველი ხალხი ერთნაირ შეხედულებას იზიარებენ საქმის კეთებასთან დაკავშირებით. მათი აზრით საქმე მისმა სპეციალისტმა და მცოდნემ უნდა გააკეთოს რათა კარგად გაკეთდეს იგი. ამასთან დაკავშირებით არაერთი მაგალითი მოიძებნება როგორც ქართულ ისე ინგლისურ ანდაზურ ფონდში.

მაგალითების დახმარებით ვარკვევთ, რომ ორივე ენა ერთნაირ სინტაქსურ სტრუქტურებს და ლექსიკურად ერთმნიშვნელოვან ზმნებს იყენებენ. “ ერთი და იმავე კონცეპტის შედარებისთვის სხვადასხვა ობიექტის გამოყენება განპირობებულია სხვადასხვა ეთნოსის განსხვავებული ცხოვრების სტილით, რაც თავის მხრივ აისახება მსოფლმხედველობის ნაციონალურ თავისებურებებში. ამიტომ ჭეშმარიტი კონცეპტის გამოსახატავად თითოეული ერი ეყრდნობა თავისი კულტურის რეციპიენტს და ირჩევს მისთვის ნაცნობ ცნებებს. მაგალითად ინგლისელები დიდისა და პატარის შესადარებლად იყენებენ მკიწის საზომ ერთეულებს. აღნიშნული რეალიები, რომლებიც გამოხატავს სიგრძით ზომებს წაკითხვისთანავე მიგვანიშნებს აღნიშნული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ნაციონალურ კუთვნილებაზე.”

https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf.

2.3 ანდაზა როგორც ნაციონალური კულტურის კომპონენტი

ანდაზა თითოეული ეთნოსის კულტურის განუყოფელი ნაილია. იგი ჩვენმა წინაპრებმა დაგვიტოვეს. ეს არის მათ მიერ დაწერილი ერთგვარი ანდერძი და ჩვენ

გვევალება მისი შესრულება და მომავალი თაობების აღნიშნული პრინციპებით აღზრდა

ენა ხალხის უდიდესი სიმდიდრეა და შეიძლება ითქვას რომ ხალხის ენობრივი შემოქმედების არც ერთ ფორმაში ასეთი ძალითა და მრავალი კუთხით არ ვლინდება მისი გონება. ისე კრისტალურად არ ლაგდება მისი ნაციონალური ისტორია, საზოგადოებრივი წყობა ყოფა, მსოფლმხედველობა, როგორც ანდაზებში. (დალი ფანჯიკიძე 1984;35) მათში ასახული ცხოვრებისეული სიტუაციები დღესაც რეალურია. ეს სიტუაციები მოიცავენ ადამიანის საქმიანობის ყველა სფეროს.

„ფრაზეოლოგიზმების ანალიზისას კულტურის ცნება არის საკვანძო საკითხი, რადგანაც ეს ენობრივი შრეები ნათლად წარმოაჩენენ ენობრივი საზოგადოების უშუალო კავშირს მატერიალურ, სოციალურ და სულიერ გარემოსთან. სწორედ აქ ვლინდება ერის ნაციონალური თვითმყოფადობა“. (https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

კულტუროლოგიის უდიდესი წარმომადგენლები არიან ეთნოლინგვისტიკის ამერიკული და რუსული სკოლების ფუძემდებლები: ე. სეპირი და ნ.ტოლსტოი. სეპირი აღნიშნავს: „ კულტურა შეიძლება განისაზღვროს როგორც ის, რასაც მოცემული საზოგადოება აკეთებს და ფიქრობს, ენა კი არის ის რასაც ფიქრობს“.

ტოლსტოის შეხედულება ასეთია: “ დამოკიდებულება კულტურასა და ენას შორის შეიძლება განხილული იქნეს, როგორც დამოკიდებულება მთელსა და მის ნაწილს შორის. ენა შეიძლება აღიქვას როგორც კულტურის კომპონენტი ან კულტურის იარაღი, განსაკუთრებით მაშინ როდესაც საქმე ეხება ლიტერატურულ ან ფოლკლორულ ენას. თუმცა ამავე დროს არის ატონომიური ზოგად კულტურასთან დამოკიდებულებაში და ის შეიძლება განხილულ იქნეს კულტურისგან განცალკევებით ან კულტურასთან მიმართებით, როგორც მრავალმხრივი და თანაბარუფლებიანი ფენომენი“. (ტოლსტოი 1995: 16)

ერის კულტურაზე მსჯელობისას უნდა გავითვალისწინოთ მენტალიტეტის როლი ანდაზების შექმნასა და აგრეთვე მისი გავლენა კულტურაზე ვ.წ. თელიას აზრით „მენტალიტეტი ყალიბდება კულტურის მეშვეობით და წარმოგვიდგება რამდენადმე ცალმხრივი“. ეს ფაქტის. იმაზე არავინ დავობს, რომ ერის მენტალიტეტის ჩამოყალიბებას გარკვეული დრო სჭირდება, მაგრამ ისიც უნდა აღინიშნოს რომ მნიშვნელოვანია მენტალიტეტის გავლენა კულტურის მომავალი განვითარების პროცესში. ეს არის ორი ურთიერთდამოკიდებული და ურთიერთქმედითი მოვლენა და მათ შორის პირველობის საკითხი არ შეიძლება ჩაითვალოს მეცნიერული

თვალსაზრისით კორექტულად. ხალხური ნაციონალური მენტალიტეტი თვალსაჩინოდ პოულობს გამოხატულებას ანდაზებში რისი უარყოფაც შეუძლებელია.

ინგლისური ანდაზების კავშირს ნაციონალურ კულტურასთან ნათლად დავინახავთ თუ მივყვებით კვალდაკვალ მის გეოგრაფიულ დასახელებებს, ღირშესაინიშნაობებს, ადათ-წესებს და ყოფით დეტალებს.

ინგლისურ ანდაზაში: there is more victuals in england than in seven other kingdoms(ინგლისში უფრო მეტი კარგი საზრდოა ვიდრე შვიდ სხვა სამეფოში) აღნიშნულ ანდაზაში ლონდონი შედარებულია სხვა სამეფოებთან და იგი წარმოჩენილია როგორც საუკეთესო. ამ ანდაზიდან ასევე შეგვიძლია დავინახოთ თუ როგორ უყვარს ხალხს ინგლისი.

ინგლისურ ანდაზებში აგრეთვე წარმოდგენილია ხალხის სიყვარული ლონდონის მიმართ. ინგლისელებს აქვთ ერთი ასეთი ანდაზა, რომელმაც ყველაზე მეტად მიიქცია ჩემი ყურადღება: When a man is tired of London, he is tired of life (როცა კაცი ლონდონით იღლება, ის ცხოვრებით იღლება) ეს ანდაზა ნათლად გამოხატავს ხალხის ლონდონისადმი სიყვარულს, ვინაიდან იგი ცხოვრებასთან არის შედარებული და მისით დაღლა კი სიკვდილს უტოლდება რადგანაც ცხოვრებისგან დაღლა ხომ ყველაფრის დასასრულს ნიშნავს.

ინგლისურ ანდაზებში წარმოდგენილია ხალხის ხასიათი და მენტალური თვისებები რაზედაც შემდგომი ანდაზა დაგვემოწმება: An englishman's word is his bond(ინგლისელი კაცის სიტყვა მისი ბორკილია) აღნიშნული ანდაზა მიგვითითებს ინგლისელების მტკიცე ხასიათზე და იმაზე თუ რამდენად მნიშვნელოვანია მათთვის მიცემული სიტყვა და პირობა. ეს ნიშნავს რომ ინგლისელი თუ სიტყვას მოგცემს ის მას არასდროს უღალატებს.

ზემოთ აღნიშნული თვისებების გარდა კიდევ უამრავი დადებითი თვისებაა წარმოდგენილი ინგლისურ ანდაზებში. არის ანდაზები სადაც ადამიანი წარმოდგენილია როგორც ბუზლუნა, და მოსაწყენი, აგრეთვე როგორც ამაყს მედიდურს და ა.შ.

ინგლისელები ხელისუფლებას დიდ პატივს სცემენ და ეს ყოველივე მათ ანდაზებში აქვთ გამოხატული.მაგ. An English loves Lord(ინგლისელს უყვარს ლორდი)

ამრიგად ზემოთ განხილულ ანდაზებში მოცემულია რეალური სურათი ინგლისელების მენტალიტეტისა და კულტურის შესახებ. ამ ანდაზებში კარგად ჩანს

ინგლისური კულტურის ,ინგლისური მენტალიტეტის ანარეკლი. ნაციონალურ კულტურული კომპონენტი კი ნათლად ჩანს როდესაც საუბარია ინგლისელების ხასიათის დადებით და უარყოფით თვისებებზე.

როგორც ზემოთ ავლნიშნეთ მენტალიტეტი და კულტურა ორი ურთიერთქმედითი და ურთიერთდამოკიდებული კატეგორიაა. ამიტომ ზოგიერთი მაგალითი რომელიც განხილულია ნაციონალურ კულტურულ ჭრილში აგრეთვე გაანალიზებულია ანდაზურ მენტალიტეტთან მიმართებაშიც.

ქართველ ხალხს ოდითგანვე ჰქონდა მჭიდრო კავშირი უძველესი ცივილიზაციის სათავეებთან მდგომ ხალხთან. ამ ხალხთან ერთად ბუნებრივია, ქართველებიც უძველესი ისტორიისა და კულტურის მქონე ეთნოსია. ყოველივე ეს კარგად ჩანს ქართულ ანდაზებში რომელიც არაერთ ცხოვრებისეულ საკითხს შეეხება. კულტურას და ცხოვრების წესს უდიდესი გავლენა აქვს ადამიანების ცხოვრებაზე და ეს ყველაფერი ქართულ ანდაზებში ძალიან კარგად გვაქვს განხილული. ქართული ანდაზების თემატიკა საკმაოდ ვრცელი და ფართოა და მათი სათითაოდ განხილვა საჭირო აღარ არის ვინაიდან იგი უკვე განხილული გვაქვს ზემოთ მოცემულ ქვეთავში (2.1). უბრალოდ კიდევ ერთხელ გავმეორდები და ავლნიშნავ რომ ქართული ანდაზები ეს არის ნამდვილად სიბრძნე ჩვენი წინაპრების, რომლებიც მათ ანდერძად დაგვიტოვეს მომავალ თაობებს და მისი გათვალისწინებით ნამდვილად ღირსეული მამულიშვილები დავიზრდებით და აღვიზრდებით.

2.5 ანდაზების გამოყენება ქართული ნაწარმოების ინგლისურ თარგმანებში

ქართველი ერი ამაყია საკუთარი შემოქმედებით. ჩვენი ისტორია არა მხოლოდ მოვლენათა აღწერა და მათი წარმოდგენაა არამედ ისეთი დიდებული მწერლების და შემოქმედი პიროვნებების არსებობაა, რომელთაც ფასდაუდებელი განძი ქართული ლიტერატურის სახით დაგვიტოვეს. ქართული ლიტერატურა არაერთი სხვა ეთნოსის ყურადღებას იპყრობს და სწორედ ამიტომ, რომ ქართული ნაწარმოებების უამრავი თარგმანი გვაქვს დღესდღეობით მსოფლიო მასშტაბით. ქართული ლიტერატურა ნამდვილად გაიცნო მსოფლიომ და აღფრთოვანებულიც დარჩა ჩვენი დიდებული განძით.

ექვგარეშეა ფაქტი რომ ქართული ლიტერატურის ნაწარმოებები შეიცავს ანდაზებს, ვინაიდან ანდაზა წარმოადგენს ხალხურ სიბრძნეს და ქართული ნაწარმოები კი წარმოუდგენელია ხალხური სიბრძნის გარეშე.

ანდაზებს დიდად აფასებენ დიდი შემოქმედი პოეტები ვინაიდან მასში სხარტად არის გამოხატული ხალხური სიბრძნე.

ქართველი ხალხის ზეპირსიტყვიერების საუნჯის შეკრებაში დიდი წვლილი მიუძღვით ქართველ შემოქმედებს ილიას ვაჟას აკაკის.მათ სათითაოდ შეუკრებიან ეს დიდებული განძი. არც შეიძლებაოდა რომეს ხალხური სიბრძნის ნიმუშები უყურადღებოდ დაეტოვებინათ. დიდ შემოქმედებს კარგად ესმოდათ რომ ხალხის ენა მნიშვნელოვანი იყო და სალიტერატურო ენა მას უნდა დაფუძნებოდა. ილია წერდა:“ხალხია ენის კანონის დამდები და არა ანბანთ თეორეტიკაო“.

ილია ჭავჭავაძე თავის დიდულ ნაშრომს იწყებს ანდაზით: „მოყვარეს პირში უძრახე მტერს პირს უკანაო“ აღნიშნულ ანდაზაში იმდენად დიდი ააზრი დევს რომ ავტორმა გადაწყვიტა სწორედ ამ ანდაზით დაეწყო თავისი ნაშრომი. ზუსტად ის იყო პიროვნება რომელიც მოყვარეს პირში ძრახავდა და არ მალავდა ქართველი ხალხის მანკიერ თვისებებს.

დიდი ქართველი მწერლის ი. გოგებაშვილის შეფასებით: „ ხალხის სიტყვიერებითი ნაწარმოები არის დიდი საუნჯე საზოგადოდ მწერლობისა და საკუთრად პედაგოგისათვის“. სწორედ ამიტომ ის დიდი ყურადღებით ეკიდებოდა ქართულ ანდაზებს და უხვად აქვს გამოყენებული საკუთარ ნაწარმოებებში. მაგალითად „დედა ენის“ 1881 წლის გამოცემაში 175 ქართული და 10 რუსულიდან გადმოკეთებული ანდაზაა.

არც სულხან საბა ორბელიანს დარჩენია ქართული ანდაზები უყურადღებოდ. მას გამოყენებული აქვს ანდაზები იგავ-არაკების წიგნში „სიბრძნე სიცრუისა“.ქართულ ანდაზებს კარგად იცნობდნენ და უხვად იყენებდნენ სხვა მწერლებიც აკაკი ვაჟა ყაზბეგი და სხვანი.

დიდი ქართველი პოეტი ილია ჭავჭავაძე თავისი მოთხრობაში “კაცია ადამიანი?!” შესავალში ამბობს:’...სხვამ რაც უნდა სთქვას, მე კი ამ სიტყვების სიმართლით გავამხნევებ ჩემს თავსა: „მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“. სადა ხარ ეხლა ამ გონიერის სიტყვის მთქმელო? ვიცი სადაცა ხარ: ხალხში ხარ, უხილავო, და ხალხისა ხარ, ისიც ვიცი რაცა გქვია,შენ ხალხის გენიას გემახიან. ისიც ვიცი, რა თვისებისა ხარ: შეუცდომელი და ყოველთვის მართალი ხარ“.

ილიას აღნიშნულ ნაწარმოებში 17 ანდაზა გვხვდება.ეს ფაქტი იმით აიხსნება რომ ილია ანდაზებს ხალხის გენიას უწოდებს და სწორედ ამიტომ იყენებს ასე უხვად თავის ნაწარმოებში ქართულ ანდაზებს.

როგორც უკვე ვთქვით ქართული ანდაზები არაერთი უცხოელი მკვლევრის ინტერესის საგანი გახდა. განსკუთრებული ინტერესი კი ინგლისელმა მთარგმნელმა მარჯორი უორდროპმა გამოიჩინა. მარჯორი უორდროპმა ქართულიდა ინგლისურად თარგმნა არა მხოლოდ ანდაზები არამედ

ვეფხისტყაოსანი და კიდევ უამრავი მნიშვნელოვანი ნაწარმოები, რადგანაც იგი მოხიბლული იყო ქართველი ხალხის ნიჭიერებით.

ანდაზების თარგმანი ილიას „კაცია ადამიანი?!“ -დან

როგორც უკვე აღვნიშნეთ ილიას „კაცია ადამიანი?!“ გვხვდება 17 სხვადასხვა ანდაზა. მარჯორი უორდროჰმა კი ეს ანდაზები ინგლისურად თარგმნა. ამ თარგმანებიდან რამდენიმე მათგანის ციტირებას გავაკეთებთ:

ილია „კაცია ადამიანი?!“ იწყებს შემდეგი გონიერი ანდაზით:

„მოყვარეს პირში უძრახე, მტერს პირს უკანაო“, მარჯორი უორდროჰისეულ თარგმანში აღნიშნული ანდაზა შემდეგნაირადაა ნათარგმნი: "Blame a friend to his face, an enemy behind his back".

„ქართული სიყვარული ლანძღვააო“- "Georgian love is an injury"

„ხერხი სჯობია ღონესა, თუ კაცი მოიგონებსა“- "Cunning is better than force, if a man is ingenious"

„დათვი ხეზედ როგორგავა, იავ-ნანინაო!..“- "How did the bear go up the tree, lullaby, lullaby!"

„ცუდად ჯდომას ცუდად შრომა სჯობიაო“-

"Useless work is better than useless sitting".

„ერთი მაქვს სჯობს ათასს მქონდას“-

"One 'I have' is better than a thousand 'I had's?'"

„ხარი ხართან დააბიო, ან ფერს იცვლის ან ზნესაო“

"If you yoke one ox to another it will change either its colour or its temper".

თარგმანის სპეციფიკიდან გამომდინარეობს, რომ მარჯორი უორდროჰმა ამ ანდაზებს ინგლისური შესატყვისები კი არ მოუძებნა არამედ თავად თარგმნა ინგლისურ ენაზე. ეს ძალიან მნიშვნელოვანი ფაქტია, რადგან ინგლისელ ხალხს ქართული ზეპირსიტყვიერების ნიმუშები შენარჩუნებული აზრით გადაეცემა და საშუალება ექნებათ უკეთ გაეცნონ ჩვენს შეხედულებებს და ტრადიციებს.

თავი III. პარემიების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის პრობლემა

3.1 ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური დახასიათება და მისი კვლევის ასპექტები

ანდაზებით ერთნაირადაა დაინტერესებული მეცნიერების სხვადასხვა დარგები და მათი მკვლევარები, იქნება ეს ფოლკლორისტიკა ლინგვისტიკა, ლიტერატურათმცოდნეობა, ფილოსოფია, ფსიქოლოგია თუ ეთნოგრაფია. ანდაზა ეს არის მინი ტექსტი იგივე ლინგვოკულტურული ტექსტი, ინტერტექსტის ერთ-ერთი სახე. თავისი შინაარსით ანდაზა წარმოადგენს მინი ლიტერატურულ ნაწარმოებს, რადგანაც ამ მცირე ტექსტში ძალიან დიდი სიბრძნე და მრავალწლიანი დაკვირვება დევს. ყოველ ანდაზას ახასიათებს სტრუქტურა და სემანტიკა, რომლებიც ერთმანეთთან მჭიდროდაა დაკავშირებული და ერთმანეთის გარეშე არ არსებობენ. ამ შემთხვევაში ჩვენი მიზანია ანდაზის სტრუქტურულ სემანტიკური დახასიათება. აღნიშნული საკითხი საკმაოდ ვრცელია, ამიტომ შემდგომ დაგვარად შევეცდებით განვიხილოთ იგი.

Attack is the best form of defence(თავდასხმა საუკეთესო თავდაცვაა)

ქართ: გაღმა შეედავე და გამოღმა შეგრჩებაო.

ინგლისელებს ბევრი ბრძოლა აქვთ გადატანილი ამიტომ კარგად იციან თუ რა არის თავდაცვის საუკეთესო საქმუალება. თავდაცვისათვის ისინი იყენებენ თავდასხმას და ყველაზე მოსახერხებელ გზად თვლიან ომში გამარჯვებისთვის. ინგლისური ანდაზები სწორედ ამასაკითხზე მოგვითხრობს. არც ქართველებს აქვთ ნაკლები ბრძოლები გადატანილი თუმცა აღნიშნულ საკითხს ქართული ანდაზები სხვა კუთხით და შინაარსით განიხილავს. ეს ბუნებრივიცაა რადგან ანდაზების შინაარსი ყოველთვის არ ემთხვევა ერთმანეთს.

Better the devil you know than the devil you don't know(უკეთესია ის ეშმაკი ვისაც იცნობ ვიდრე ის ეშმაკი ვისაც არ იცნობ). ქართულად მისი შესაფერისია: შეჩვეული ჭირი ჯობია შეუჩვეველსო.

ამ ანდაზაში ინგლისელები უპირატესობას ანიჭებენ ნაცნობს მათთვის უკვე შეჩვეულ ეშმაკს რადგან ნაცნობ ეშმაკთან გამკლავება უფრო იოლია ვიდრე უცნობთან. ქართველები კი შეჩვეულ ჭირს ამჯობინებენ შეუჩვეველს. ახალთან შეჩვევა კიდევ დამატებითი თავსატეხია. ამ ანდაზების სტრუქტურა და სემანტიკა განსხვავებულია. ინგლისელები იყენებენ ნაცნობს და უცნობს ხოლო ქართველები შეჩვეულს და შეუჩვეველს. აგრეთვე განსხვავდება შინაარსიც. ერთში საუბარია ეშმაკზე ხოლო მეორეში ჭირზე. ორივე უაროფითი კონოტაციის მატარებელია მაგრამ ერთმანეთისგან განსხვავებულები არიან. უნდა ავღნიშნოთ ისიც, რომ ქართული ანდაზა აზრს მოკლედ გადმოსცემს და ყველასთვის გასაგებია, ხოლო ინგლისური ანდაზა უფრო ვრცელია.

ინგლისელებს და ქართველებს შრომასთან დაკავშირებით ერთნაირი

შეხედულებები აქვთ. ეს ანდაზებშიც აისახება

Business before pleasure (ჯერ საქმე მერე დასვენება)

ქართ: ჯერ შრომა, მერე ხტომა.

აღნიშნული ანდაზები მსგავსი შინაარსის მატარებელია. ორივე ეთნოსი მიიჩნევს რომ ადამიანმა ჯერ უნდა იშრომოს და შემდეგ უნდა დაისვენოს. თუ საქმე არ გააკეთე მაშინ დასვენებაც რად გინდა დაღლილი ხომ არაფრისგან იქნები. ამ ანდაზებში წყობა სიტყვებისა ერთნაირია. ორივეში პირველია შრომა ხოლო შემდეგ დანარჩენი ყველაფერი

Everybody's business is nobody's business(ყველას საქმე არავის საქმეა)

ზიარი ყანა კოლომ მოძოვაო.

ეს ანდაზები გამოხატავენ საზიარო საქმის კრიტიკას. ორივე ეთნოსი მიიჩნევს რომ საზიარო საქმე კარგი არ არის და ის სარგებელს არმოიტანს.ჯობს მარტომ გააკეთო საქმე ვიდრე ვინმე თანაზიარი გყავდეს.

A barley com is better than dimond to a cock(მამალს პურის მარცვალი ურჩევნია მარგალიტს).ქართ: ნუ დაუყრი ღორს მარგალიტებსო.

ორივე ეთნოსის ანდაზაში წარმოდგენილია აზრი რომ ვინც ფასი არიცის და ვერ მოიხმარს სათანადოდ იმას მარგალიტები არ უნდა მისცე. აღნიშნული ანდაზების შინაარსი იგივეა თუმცა სტრუქტურა განსხვავებულია. ინგლისური ანდაზა თხრობითია ხოლო ქართული ბრძანებითი.

A broken friendship may be soldred,but will never be sound(ერთხელ შებღალულმა მეგობრობამ სიმტკიცე აღარ იცის).

ქართ: ერთხელ დაკოდილ გულს ვერაფრით გაამთელეზო.

ინგლისელების აზრით მეგობრობას მოფრთხილება და დაცვა ჭირდება რადგან იგი თუ ერთხელ შეიბღალა ვეღარასდროს გახდება ისეთი როგორიც ადრე იყო.

მოცემული ანდაზები ადამიანებს, მეგობრებს შორის ურთიერთებას

ეხება. ამ საკითხთან დაკავშირებით ქართველებსაც იგივე დამოკიდებულება აქვთ.

ამ ანდაზის გაცნობისას გამახსენდა სულხან საბას იგავი „ენით დაკოდილი“ ამ იგავში ყოველივე ზემოთ ხსენებული ძალიან კარგად არის წარმოდგენილი.

მეგობრობა ასეა მას უნდა გავუფრთხილდე თუკი გვინდა რომ ის მუდამ

მტკიცე იყოს. ქართულ ანდაზაში კი ნათქვამია ერთხელ დაკოდილი გული ვერ

გამთელდებაო. შეიძლება ადამიანს ჭრილობა მალე მოურჩეს და დაავიწყდეს,

მაგრამ დაკოდილი გული მას არასდროს მოურჩება.

Like cow like calf-როგორიც ძროხა ისეთი ხბო	როგორიც გყავდა დედაო, შენც ისეთი ხარ ქედაო
--	--

Like father like son-რაც მამა ის შვილი	კვიცი გვარზე ხტის
Like mother like daughter-რაც დედაა ის ქალიშვილი	დედა რა იყო შვილი რისი იქნებოდაო
Like teacher like pupil-როგორც მასწავლებელი ისეთი მოსწავლე	რაც მასწავლებელია ისაა მოწაფეც
Like priest like pupil-როგორც მღვდელიო, ისეთი მრევლიო	როგორც ბერიო ისეთიც ერიო

ამ ანდაზებში გადმოცემულია აზრი რომ ადამიანი ყოველთვის ვიღაცას ემსგავსება. ეს შეიძლება იყოს დედა მამა ან სხვა ახლობელი ან თუნდაც ისეთი ვინმე ვისთანაც კავშირი აქვს მას. ბავშვს რასაც ასწავლი იმას დაიმახსოვრებს და როგორსაც გაზრდი ისეთი იქნება. ამიტომ ძალიან დიდი ყურადღება უნდა გამოვიჩინოთ ან საკითხში.

მაგალითად: “რაც დედაა ის ქალიშვილიო“, “კვიცი გვარზე ხტისო“ და სხვა.

აღნიშნული ანდაზების არსი ისაა რომ მსგავსი მსგავსისკებ მიისწრაფვის ან მსგავსი მსგავსს ემსგავსება.

- Make hay while the sun shines (თივა მანამ თიბე სანამ მზე კაშკაშებს)-ქართ. სანამ თორნე ცხელია პური მანამ ჩააკარო.
- Tomorrow come never („ხვალ“ არ გამოელევა)- ქართ. დღე-მეხვალე კაცსაო, თოვლი მოადგა კარსაო

აღნიშნული ანდაზები მსგავსი სემანტიკით ხასიათდება და მათი უმეტესობა ბრძანებითი კილოთია გადმოცემული. ყველა მათგანი მიუთითებს რომ საქმე დროულად უნდა გაკეთდეს და სხვა დროისთვის არ უნდა გადაიდოს.

ანდაზებთან დაკავშირებული არცერთი საკითხი ბოლომდე შესწავლილი არარის. და აგრეთვე არც მისი სტრუქტურულ-სემანტიკური მახასიათებლები არ არის სრულყოფილად შესწავლილი.

„ბუნებრივია, რომ ანდაზები ერთმანეთისგან სტრუქტურულადაც განსხვავდება, რადგან ინგლისური და ქართული ენობრივი სტრუქტურები განსხვავებულია. შესაბამისად ანდაზების სტრუქტურაც განსხვავებულია. ასევე განსხვავებულია სემანტიკაც. ანდაზები განსხვავებულია ლექსიკითაც, რადგან ყოველი ერი ანდაზაში იყენებს მისთვის დამახასიათებელ ლექსიკურ ერთეულებს. ანდაზების მსგავსება ვლინდება მისი ტიპების მიხედვითაც. ყველა ერის ანდაზურ ფონდში მოიხებნება ბრძანების, რჩევის, რეკომენდაციის ტიპის ანდაზები.“ (https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

„ანდაზა სიმოკლისა და წინადადებისეული სტრუქტურის მიუხედავად თავისი არსით დასრულებული გამონათქვამია, რომელიც გამოხატავს ტექსტ-დისკურსის არსებით ნიშნურ ფუნქციებს: ნომინაციას, პრედიკაციას თემატიზაციას და სტილიზაციას. ანდაზები იდიომატურია. მათი შინაარსის ელემენტს წარმოადგენს „ციტატურობა“ ანუ საყოველთაოდ მიღებულ აზრზე მითითება, რომელსაც ეყრდნობა მოსაუბრე. ეს მსჯელობა ინგლისურ და ქართულ ანდაზებზეც ვრცელდება.“ (https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

ანდაზებს ახასიათებთ აგრეთვე დამრიგებლობითი შინაარსი და ის გამოხატულია დადებითად და უარყოფითად. ასეთი ანდაზების გრამატიკული ფორმა ანალოგიურია და შეესაბამება მათი შინაარსის ხასიათს. ასეთი ანდაზები ძირითადად თხრობითი ან ბრძანებითი წინადადებებითაა წარმოდგენილი. კითხვითი და ძახილის კონსტრუქციები მათთვის არ არის დამახასიათებელი.

თხრობითი ფორმის ანდაზები იყოფა ორ ჯგუფად: მარტივი და რთული. მარტივი თხრობითი წინადადების ფორმის ანდაზებში ქვემდებარის როლს ხშირად ასრულებს არსებითი სახელი, რომელსაც ხან ახლავს ზედსართავი სახელი ხან არა.

დადებითი შეფასების ანდაზები:

A good name keeps its luster in the dark(კარგი სახელი სიბნელეშიც ანათებს). ქართ. ოქრო წყალშიც არ იძირება. A good wife makes a good husband (კარგი ქალი ქმარსაც კარგს გახდისო). ქართ. კარგი ცოლის პატრონს საგზალია არ უნდაო. the end justifies the means(მიზანი ამართლებს საშუალებას). ქართ.მიზანი ნახევარი საქმის შესრულებააო. fools and madman speak the truth (სულელები და გიჟები სიმართლეს ლაპარაკობენ) .ქართ. გიჟი ბევრჯერ მართალს იტყვის.

უარყოფითი შეფასების ანდაზები:

A fair face may hide a foul heart(ლამაზი სახე შეიძლება საზიზღარ გულს ფარავდეს). ქართ. ლამაზი სახე და ბილწი გულიო. Greedy folk have long arms (გაუმაძღარ ადამიანს გრძელი ხელები აქვს). ქართ. მდიდარი ღარიბს პერანგს აძრობდაო. Honours change manners(საზოგადოებრივი მდგომარეობა ადამიანებს ცვლის). ქართ.ვინც მდიდრდება მეგობრებს ივიწყებსო.

თხრობით წინადადებებში შემასმენელი შეიძლება იყოს მარტივი და შედგენილი. მოქმედების გამომხატველი ზმნური შემასმენელი ძირითადად წარმოდგენილია პირიანი ზმნის ფორმით.განზვიხილოთ მაგალითები;

An apple a day keeps the doctor away- ყოველდღე თუ თითო ვაშლს შეჭამ, ექიმიც არ დაგჭირდება. ქართ. ადამიანის მკურნალია: მხიარულება, დასვენება და ზომიერი კვებაო. Idleness rusts the mind-უქმად ყოფნისაგან ტვინს ჟანგი ეკიდება. ქართ. უსაქმურობა გონებას აჩლუნგებს.

რთულ ქვეწყობილი სტრუქტურის მქონე ანდაზებში გვხვდება განსაზღვრებითი ქვეწყობილი წინადადებები, რომლებშიც გამოყენებულია საკავშირებელი სიტყვები- that და who.

All is well that ends well-ყველაფერი კარგია რაც კარგად მთავრდება

He is a good friend that speaks well of us behind our backs-კიარგი მეგობარია ის, ვინც ჩვენს ზურგსუკან ჩვენზე კარგს საუბრობს.

All aren't saints that go to church-ყველა წმინდანი არ არის ვინც ეკლესიაში დადის

Dogs that put up many haves kill nine-ძალი, რომელიც ორ კურდღელს აფრთხობს
.ვერც ერთს ვერ დაიჭერსო

ზოგიერთ ანდაზას აქვს წამქეზებელი წინადადების ფორმა და ის ძირითადად წარმოდგენილია თხრობითი კოლოთი, უარყოფითი კი უარყოფის ფორმით.მაგ. don't seel thr bear's skin before you have caught it-სანამ დათვს არ დაიჭერ მის ტყავს ნუ გაჰყიდი. მსგავსი ქართულში გვაქვს შემდეგი ანდაზა: ბავშვი არ დაბადებულყო და აბრაამს არქმევდნენ.

როგორც დადებითი ისე უარყოფითი შეფასების ანდაზებში ზოგიერთი ტროპი ძალიან ხშირად გამოიყენება, სხვები კი იშვიათად. ანდაზებისთვის დამახასიათებელია შედარება და მას პარემიების გამოხატვის სხვადასხვა ფორმა აქვს.

„ანდაზების განმსაზღვრელი ძირითადი თვისებებია: თხრობის სიმოკლე, სიმყარე სამეტყველო ხმარებაში, დამრიგებლობითი ხასიათი დ ხალხის მრავალსაუკუნოვანი გამოცდილების შემცველობა. დადებითი და უარყოფითი შეფასების განხილული ანდაზების გრამატიკული ფორმა ანალოგიურია. ის ძირითადად თხრობითი ხოლო ნაწილობრივ წამქეზებელი წინადადებებია. კითხვისა და ძახილის კონსტრუქციები ანდაზებისთვის არ არის დამახასიათებელი. ზემოთ მოყვანილი ინგლისური და ქართული მაგალითები შეიძლება არ შეესატყვისებოდეს ერთმანეთს, რადგან ეს ორი ენა განსხვავებული სტრუქტურის მქონეა და შესაბამისად წინადადების აგების პრინციპიც განსხვავებული იქნება, თუმცა აღნიშნული მაგალითები ნაწილობრივ შეესატყვისება და თითქმის მსგავსი თემატიკის სიბრძნეს გადმოსცემენ.“

https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf.

ანდაზების სტრუქტურულ-სემანტიკური კვლევის ასპექტების შესწავლა დაიწყო გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან. სტრუქტურული მიმართულებით კვლევა ითვალისწინებდა ანდაზის მორფოლოგიურ-სინტაქსური მოდელების გამოყოფას და სტრუქტურის თავისებურებების გამოვლენას. განსაკუთრებული ინტერესის საგანი იყო ანდაზაში ცალკეული სიტყვის კვლევა, ანდაზის ზოგადი შინაარსი, სემანტიკის საკითხები და სხვა. ქართული ანდაზების სემანტიკურ-სტრუქტურული მახასიათებლები გამოკვლეულია ვინფრიდ ბოედერის სტატიაში (Boeder, Winnfried 1985: 97-115). სტატიაში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა ფონოლოგიურ მახასიათებლებს. რიტმულ წყობას ეხება ჯ. ბარდაველიძე (ბარდაველიძე 1979; 67-77), ხოლო ლ. ლეჟავას ნაშრომში მორფოლოგიურ-სტრუქტურული და სინტაქსის საკითხები.

ამჟამად მოცემულ პრობლემასთან დაკავშირებით არაერთი ნაშრომი მოგვეპოვება, რომლებიც აღნიშნული საკითხია მიმოხილული. მაგალითად პროფესორ მ. რუსიეშვილის მონოგრაფიაში. (მ. რუსიეშვილი 2005) გამოიყოფა ანდაზის დიფერენციალური ნიშნები:

- ანდაზის მიერ ცხოვრების სამყაროს რაიმე მოვლენის შესახებ ღრმა, ჭეშმარიტი, გამოზოგადებული აზრის გამოხატვა.
- ხატოვანება
- ფორმის სისხარტე, ლაკონურობა
- დიდაქტიკურობა
- ხალხურობა
- მსჯელობის ფორმა და ალეგორიულობა.

თუმცა დიფერენციალურ ნიშნებთან დაკავშირებით დღეს მკვლევართა შორის ერთიანი აზრი არ არის. იგივე მდგომარეობაა ანდაზის განმარტებასა და ფუნქციურ პრობლემასთან დაკავშირებითაც. ანდაზის სტრუქტურული გაფორმების სპეციფიკასთან დაკავშირებით მ. რუსიეშვილი გაოცოფს შემდეგს:

ა)“ ანდაზა სტრუქტურულად სულ მცირე წინადადებაა. ეს არის მძლავრი არგუმენტი ანდაზის ფრაზეოლოგიურ ერთეულად ცნობის წინააღმდეგ .წინადადების ფორმა სხვა პარემიოლოგიურ ერთეულებსაც აქვს“. (რუსიეშვილი 2005;24-25).

ბ) ანდაზა ლაკონური, სხარტი ერთეულია;

გ) ალეგორიულობა

დ)ხალხურობა

ე) დიდაქტიკურობა.

ჩამოთვლილ თითქმის ყველა ნიშანთან დაკავშირებით მკვლევართა შორის განსხვავებული მოსაზრებებია, რაზეც ავტორიც მიგვანიშნებს.

სტრუქტურული კრიტერიუმის შესაბამისად, ანდაზა შედარებით ჩაკეტილი პრედიკატული ერთეულია, რომელშიც თვითნებურად ვერ ჩავამატებთ ვერაფერს. როგორც ამბობენ იგი ტრადიციულობით ხასიათდება, საყოველთაო ჭეშმარიტებას და დიდაქტიური მნიშვნელობა გააჩნია. ანდაზაში არ შეიძლება კომპონენტების თვითნებური ცვლა, თუმცა ზოგიერთი ანდაზა მაინც განიცდის ცვლილებას.

ანდაზის სტრუქტურის შესწავლით დაინტერესებულია აგრეთვე პროფ. ქ. ჯაშის ნაშრომი(ჯაში 1988; 10-15)

ანდაზის სემანტიკურისტრუქტურა პროფესორ მ. რუსიეშვილის აზრით,სამი ურთიერთდაკავშირებული დონის სინთეზია.1. ექსპლიციტური შინაარსი. 2.იმპლიციტური შინაარსი. 3.პრესუპოზიციის დონეები. აღნიშნულის ნათელსაყოფად ავტორს გაანალიზებული აქვს რამდენიმე მაგალითი:

There is no smoke without fire.(კვამლი ცეცხლის გარეშე არ არის)

„ამ ანდაზის კონტექსტში აქტუალიზაციის დროს ექსპლიციტურ დონეზე სახეზეა ხატოვანი ანდაზა, რომელიც პირდაპირ მიგვითითებს, რომ კვამლი უცეცხლოდ არ

არსებობს. იმპლიციტურ დონეზე მსმენელი „იპოვის“ აზრს; „რადაც ერთი არ არსებობს მეორის გარეშე. ეს ერთი არის მეორის შედეგი“, ანუ ყოველ ჭირსა და მითქმა მოთქმას რეალური საფუძველი აქვს. ხოლო პრესუპოზიციის დონეზე გაცხადდება სამყაროს მოდელის ის ნაკვეთი, რომელშიც ჩადებულია ცოდნა კვამლისა და ცეცხლის ურთიერთკავშირის შესახებ. პრესუპოზიციის დონე კომუნიკაციური აქტუს მონაწილეებს საერთო აქვთ-ეს არის ენის მატარებლის კონკრეტულ კონტექსტში წამოშლილი ასოციაციები.“(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

You cannot make a crab walk straight(შენ ვერ შეძლებ კიბორჩხალას ასწავლო სწორად სიარული). ქართ. კუზიანს სამარე გაასწორებსო; ძაღლის კუდი არ გასწორდება.

მ.რუსიეშვილს განიხილული აქვს სამი ანდაზა და აღნიშნავს, რომ ამ შემთხვევაშიც, კონტექსტის აქტუალიზაციის დროს ანდაზის ექსპლიციტურ დონეზე ცხადდება, რომ „კიბორჩხალა სწორად ვერ გაივლის“. იმპლიციტური დონე მიუთითებს, რომ ვინმეს ნირს ვერ შეაცვლევინებ, ხოლო პრესუპოზიციის დონეზე აქტუალიზდება სამყაროს მოდელის ის ნაწილი სადაც ეს კონკრეტული ცოდნაა ჩადებული იმის შესახებ, რომ კიბორჩხალა ყოველთვის გან-გან დადის. ამ მაგალითებს შედარება ნათლად გვიჩვენებს რომ განსხვავებულია ექსპლიციტური და პრესუპოზიციური დონეები, ხოლო იმპლიციტურ დონეზე სამივე ანდაზა მსგავსია - „ადამიანი ჩვევას ძნელად დალატობს“. ხოლო პრესუპოზიციურ დონეზე ქართველისათვის ამოტივტივდება „ძაღლის კუდისა“ და „გამოუსწორებელი კუზიანის“ მონაკვეთი, ინგლისელებისთვის კი ეს აზრი დაკავშირებულია კიბორჩხალასთან(რუსიეშვილი 2005:44-48).

ავტორი ამბობს რომ ანდაზა აუცილებლად შეიცავს ბინარულ სემანტიკურ ოპოზიციას მისი სემანტიკისა და ლოგიკური აღქმის ყველა დონეზე. გამოყოფს და განიხილავს სემანტიკურ მოდელებს: „მსგავსი მსგავსს მიელტვის“, „ნირის შეცვლა ადვილი არ არის“....ასე აჯგუფებს სემანტიკის მიხედვით ინგლისურ და ქართულ ანდაზებს არკვევს მათ შორის მსგავსება\ განსხვავებებს.(რუსიეშვილი 2005;60-139). აღნიშნულ სემანტიკურ მოდელებს ჩვენ, როგორც თემატურ- სემანტიკურ ჯგუფებს ისე

განვიხილავთ, თანაც ზოგად ჭრილში, რადგან ანდაზასათან დაკავშირებით ყველა საკითხი მკვლევართა შორის საკამათოა და კვლევა არც ერთი მიმართულებით არ არის დასრულებული.

სხვადასხვა მკვლევარი ანდაზის მნიშვნელოვან კრიტერიუმად განიხილავს მის ტრადიციულობას, სტრუქტურულ-სემანტიკურ მახასიათებლებს და აგრეთვე გამოყოფენ მეორეხარისხოვან ანდაზურ მარკერებს (ფონეტიკური, სემანტიკური, გრამატიკული, ლექსიკური).

1. ფონეტიკური მარკერები(ალიტერაცია, ასონანსი, რითმა, რიტმი)

Haste makes waste(რიტმა)

აჩქარება დროის დაკარგვაა.

ქართ. აჩქარებითა სოფელი არავის მოუჭამიაო.

2. სემანტიკური (მეტაფორა, ჰიპერბოლა, შედარება)

Big fish eat little fish(მეტაფორა)

დიდი თევზი პატარა თევზს ჭამს

Every Czech is a musician(ჰიპერბოლა)

ყველა ჩეხი მუსიკოსია

A man of words and not of deeds, is like a gaerden full of weeds (შედარება)

სიტყვების მოყვარული და უქნარა კაცი სარეველათი სავსე ბაღსა გავს.

3. გრამატიკულია(სინტაქსური კონსტრუქციები, პარალელიზმი,

მოძველებული/არანორმატიული გრამატიკული კონსტრუქციები).

Money makes the mare(to) go (to-ს გამოყენება make შემდეგ)

ფული ჭაკ ცხენსაც კი დასძრავს ადგილიდან.ქართ. ფული კლდეს გაანგრევსო.

Soon ripe,soon rotten(პარალელური კონსტრუქცია)

რაც ადრე მწიფდება, ჩქარა ფუჭდება.

4. ლექსიკური (არქაიზმები და ისტორიზმები ანდაზის შემადგენლობაში)

You mai ding the devil into a wife,but you will never ding him out of her -შენ შეგიძლია ჩაასახლო ემმაკი ქალში, მაგრამ ველარასდროს განდევნი მისგან.

ანდაზურ ფონდში აგრეთვე გამოიყოფა სინონიმური, ანტონიმური თემატური ან სემანტიკური ჯგუფები.

სინონიმური ანდაზები ისეთი ერთეულებია რომელთაც მსგავსი მნიშვნელობა აქვთ.

„ურთიერთ საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების არსებობამ XVIII საუკუნიდან მიიპყრო მკვლევართა ყურადღება.თავად ამ მოვლენას ეწოდა “crossing of proverbs”.საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების არსებობის მიზეზებს სხვადასხვაგვარად აღწერენ.ვ. მიდერის მიხედვით, ანდაზები არ გამოხატავენ აბსოლუტურ ჭეშმარიტებას, პირიქით, ისინი ასახავენ ადამიანის გამოცდილებას, რომელიც თავისი ბუნებით ურთიერთსაწინააღმდეგოა, რასაც მივყავართ ანდაზების საპირისპირო მნიშვნელობამდე, დიამეტრიულად საწინააღმდეგო ანდაზების წარმოქმნამდე. ადამიანური მენტალიტეტი ურთიერთსაწინააღმდეგოა და ეს ვლინდება ანდაზებშიც. აგრეთვე ანდაზებში აისახება სხვადასხვა სოციალური ჯგუფის შეხედულებები, რაც აგრეთვე განაპირობებს საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზების წარმოქმნას.“

(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

საპირისპირო მნიშვნელობის მქონე ანდაზები გამოიყოფა პრაქტიკულად ყველა დიდ თემატურ ჯგუფში. დაპირისპირების საფუძველია შეფასებითი კრიტერიუმები-„კარგი-ცუდი“.

ანტონიმის შემცველი ანდაზების შედარებითი კვლევა ერთ-ერთ შესაძლო მიმართულებას წარმოადგენს. ისინი წარმოაჩენენ სხვადასხვა ხალხის მიერ სამყაროს ასახვის ანდაზურ სურათს, მსგავსებასა და განსხვავებას გარემომცველი სამყაროს ასახვის ანდაზურ ხედვაში.

3.2 სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობის პრობლემა

ანდაზები „ხალხის ავტობიოგრაფია“, „ კულტურის სახე“(Dundes 1988;38), ცხოვრებისეული პრობლემების გადაწყვეტის ერთგვარი სახელმძღვანელო(Taylor 1994;213).ანდაზები ადამიანებს სთავაზობენ წინა თაობების მიერ შემოწმებულ და მიღებულ გამოცდილებას, რომელზეც შეიძლება დაყრდნობა(Carnes 1994:475).

როგორც უკვე ავღნიშნეთ ანდაზა არის მინი-ტექსტი,რომელიც გრანდიოზულია თავისი შინაარსითა და მნიშვნელობით. სემანტიკური,სტრუქტურული და ფუნქციური პარამეტრებით იგი იმდენად რთულია, რომ ანდაზის ზუსტი განმარტება დღემდე არ გვაქვს.

ანდაზები და ანდაზური თქმები სიტუაციებსა და საგნებს შორის გარკვეული დამოკიდებულების გამომხატველი ნიშნებია. რადგან ნიშნებია მათ უნდა გააჩნდეთ და გააჩნიათ კიდევ ყველა ენობრივი ერთეულისათვის ნიშანდობლივი განსაკუთრებული სემიოტიკური მახასიათებლები, რაც თავის მხრივ ნიშნავს რომ ანდაზებისა და ანდაზური თქმების ლოგიკური სქემა განხილულ უნდა იქნეს, როგორც ლოგიკო-სემიოტიკური სქემა.(Пермяков 1970;21).

ანდაზების შესახებ გ. ლ. პერმიაკოვმა გამოთქვა მოსაზრება რომლის მიხედვითაც: „სხვადასხვა ხალხის პარემიები ახდენენ ერთნაირი და ერთმანეთის მსგავსი სიტუაციების მოდელირებას, მიუხედავად მათი ეთნიკური, გეოგრაფიული, ისტორიული და ენობრივი სპეციფიკისა. მსგავსი პარემიები წარმოადგენენ რაღაც ტიპიური სიტუაციების ხატოვან ინვარიანტებს,ხოლო ეს ტიპიური სიტუაციები

კონკრეტული ანდაზებისა და ანდაზური თქმების ინვარიანტულია“ (Пермяков 1970;20-21).

ამ მოსაზრების მიხედვით, სიტუაციური მახასიათებლების მიხედვით, რეალურად არსებულ ანდაზებში ოთხი ჯგუფის გამოყოფაა საჭირო, რომელთაც პერმიაკოვი ლოგიკო-სემიოტიკურ ინვარიანტებს უწოდებს.

ლოგიკო-სემიოტიკური კლასიფიკაციის თვალსაზრისით, სხვადასხვა ხალხის ანდაზები ჯერ კიდევ არ არის საფუძვლიანად შესწავლილი. ამ შემთხვევაში განვიხილავთ ქართული ანდაზების თავსებადობას

აღნიშნული კლასიფიკაციის სიტემაში და პარემიების ინვარიანტულობის ზოგად საკითხებს, რომლებიც პარემიოლოგიის აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს.

ამ შემთხვევაში ჩვენ განვიხილავთ ქართული ანდაზების ლოგიკო-სემიოტიკურ კლასიფიკაციას ისე, რომ იგი მარტივად გასაგები იყოს ყველანაირი ზედმეტი სიმბოლოების გარეშე.

პირველ ჯგუფში გაერთიანებულია ისეთი ანდაზები, რომლებშიც ასახულია დამოკიდებულება საგანსა და მის თვისებას შორის: თუ რაიმე საგანს გააჩნია რაღაც თვისება, მაშინ მას გააჩნია სხვა თვისებაც. მაგ. ყველა ცოცხალი მოკვდავია.

ინგლ. All men are mortal.

ქართ. ყველა სივდილის შვილია, ცის ქვეშ რაც კაცია სიკვდილისააო.

მეორე ჯგუფში წარმოდგენილია დამოკიდებულება საგნებს შორის: თუ არსებობს ერთი საგანი, მაშინ არსებობს მეორე საგანიც. ეს ნიშნავს რომ ერთი საგნის არსებობა განაპირობებს მეორე საგნის არსებობას. მაგალითად:

ქართ. სადაც წყალი იქ წნორიო, სადაც წყალია იქ სიცოცხლეც არისო.

ინგლ. There is water-there will be fish, where bees are there is honey.

მესამე ჯგუფის ანდაზებში ასახულია დამოკიდებულება სხვადასხვა საგნის მახასიათებლებს შორის: თუ რომელიღაც საგანი დამოკიდებულია მეორე საგანზე და ამ მეორე საგანს გააჩნია რაღაც თვისება, მაშინ პირველ დამოკიდებულ საგანსაც გააჩნია იგივე თვისება. მაგალითად:

ქართ. დიდ ხეს დიდი ნაყოფი სცვივავ, დიდ ფელამუმს დიდი გობი უნდაო.

ინგლ. A large mountain has a large shade, A great ship asks deep waters.

მეოთხე ჯგუფში წარმოდგენილ ნადაზებში, მოცემულია საგნებს შორის დამოკიდებულება მათი გარკვეული თვისებებიდან გამომდინარე: თუ საგანს გააჩნია რაღაც თვისება ხოლო მეორე საგანს არ გააჩნია ეს თვისება მაშინ პირველი უკეთესია მეორეზე. მაგალითად:

ქართ. შენი მჭადურა სხვათა ხინკალს გერჩივნოსო

ინგლ. Dry bread at home is better than roas meat abroad.

მაგალითებდან ჩანს, რომ პირველი და მეორე ჯგუფის ანდაზებში ასახულია უფრო მარტივი ინვარიანტები, კერძოდ, უშუალო დამოკიდებულება საგანსა და თვისებას შორის. მესამე და მეოთხე ჯგუფის ანდაზები კი უფრო რთული ინვარიანტებია: ისინი საგანთა შორის ურთიერთდამოკიდებულებას მათ თვისებებთან მიმართებას ასახავს.

როგორც უკვე ავლიშნეთ ანდაზები და ანდაზური თქმები ლოგიკო-სემიოტიკური თვალსაზრისით საფუძვლიანად გამოკვლეული ჯერ კიდევ არ არის. გ. ლ. პერმიაკოვის თვალსაზრისით (Пермяков 1970;20) რაც გაკეთებულია მეტყველებს იმაზე, რომ ანდაზური ტექსტების მრავალგვარობის მიუხედავად, ნებისმიერი ანდაზა და ანდაზური თქმა ლოგიკო-სემიოტიკური კლასიფიკაციის სისტემაში აუცილებლად დაიკავებს თავის ადგილს. პერმიაკოვმა 200მდე ხალხის დაახლოებით 50.000 ანდაზა შეკრიბა და შედარებით ჭრილში შეისწავლა და სწორედ ამ მასალის საფუძველზე გააკეთა მან დასკვნა.

„სხვადასხვა ხალხის ანდაზების ინვარიანტულობა ეჭვს არუნდა იწვევდეს. როგორც აღინიშნა ანდაზები, ერთის მხრივ, გამოხატავს ეროვნულ ხასიათს ხოლო მეორეს მხრივ ანდაზების უმრავლესობის შინაარსი უნიივერსალურია. მრავალ ანდაზას მოეპოვება სინონიმი სხვა ენაში“.(Левин 1984;123).

„სხვადასხვა ლინგვოკულტურული საზოგადოებისთვის დამახასიათებელი ანდაზების მნიშვნელობისა და შინაარსის თანხვედრა რიგი ფაქტორებითაა განპირობებული. ერთ-ერთი მათგანი არის სოციალურ-ისტორიული პირობების მსგავსება. ასევე თანხვედრაშია ერების უმრავლესობის ძირითად ცხოვრებისეულ შეხედულებათა სისტემა, ვინაიდან ზნეობრივი ღირებულებები და ადამიანის მიერ საკუთარი ადგილის ძიება ცხოვრებაში საერთოა ყველა ერისთვის“.(

https://www.bsu.edu/ge/text_files/ge_file_5764_1.pdf). ილია ჭავჭავაძე ამბობდა:

“ადამიანის გონებას ყველგან ერთსა და იმავე გზით უვლია თავის წარმატების გზაზედ, ერთნაირსა შიშსა და საფრთხეს ერთნაირი წამალი მოჰყოლია და ერთნაირ მიზეზს ერთნაირად გადაუხრია, ერთნაირად გაუტაცნია გონება(ჭავჭავაძე 1978;28). ინვარიანტულობის პრობლემა ანდაზებში რეალურ ფაქტს წარმოადგენს. თუმცა ისინი სავსებით არ ემთხვევიან ერთმანეთს. მათი სხვაობა ასახვის ფორმაში უნდა ვეძებოთ. ეს ნორმალური მოვლენაა რადგან ადამიანის მსოფლზედ ვა დამოკიდებულია იმ ენაზე, რომელსაც იგი ფლობს. ენათა განსხვავებული სტრუქტურა მათ განსხვავებულ მსოფლზედვას განაპირობებს.

„ლოგიკო-სემიოტიკური თვალსაზრისით ქართულ ანდაზებზე დაკვირვებამ გვიჩვენა, რომ ქართული ანდაზები თავსებადია მოცემული კლასიფიკაციის 4ჯგუფიან ინვარიანტულ სისტემასთან. სხვადასხვა მკვლევრებს სხვადასხვა ხალხის ანდაზების შესწავლა იგივე დასკვნამდე მიიყვანს, რადგან განსხვავებულ ეთნოკულტურათა ანდაზები ერთმანეთის მსგავსია. ამ მოსაზრების საფუძველს წარმოადგენს ის ფაქტი, რომ სხვადასხვა ლინგვოკულტურაში არსებული ანდაზები, ერთი მხრივ გამოხატავს ეროვნულ ხასიათს, ხოლო, მეორე მხრივ მათი უმრავლესობის შინაარსი

უნივერსალურია. მსგავსია აგრეთვე სოციალურ-ისტორიული პირობები, გარე სამყარო, ძირითად ცხოვრებისეულ პრობლემებზე შეხედულებათა სისტემა. ყველა ამ და სხვა ანალოგიურ პრობლემას მიჰყავს ადამიანები მსგავს ანდაზურ შეხედულებამდე. მაგრამ მსგავსება პრობლემათა თემატიკაშია-განსხვავება კი ასახვის ფორმაში, რადგანაც როგორც უკვე ვთქვით ერთი და იგივე მოვლენა სხვადასხვა ეთნოსის მიერ განსხვავებულად აღიქმება ვინიდან განსხვავდება ენობრივი სტრუქტურები და სხვადასხვა ხალხის აზროვნების ნორმებიც.“

(https://www.bsu.edu.ge/text_files/ge_file_5764_1.pdf).

დასკვნა

ნაშრომი ვრცლად განიხილავს ანდაზებს სხვადასხვა ასპექტით. ყოველივე მათგანის გაცნობის შემდეგ ჩვენ შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა ანდაზის მნიშვნელობასთან დაკავშირებით, როგორც ლინგვისტურ სივრცეში, ისე ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში. ანდაზა უძველესი დროიდან მოყოლებული მნიშვნელოვან როლს თამაშობს ერის კულტურის განვითარებაში. ანდაზებში ხომ ნათლად აისახება ერის ცხოვრების წესი, მისი ისტორია ასევე მისი კულტურული ღირებულებები.

ანდაზა ეს არის წინადადება, რომელიც თავისი შინაარსით ტექსტის ტოლფასია. ეს არის ხალხური სიბრძნე რომელიც მემკვიდრეობით გადაეცემოდა თაობიდან თაობას. ანდაზებზე აღიზარდა უამრავი თაობა და მათ ნამდვილად ღირსეული სახელი დატოვეს ქვეყნის ისტორიაში.

ანდაზები გამოირჩევიან ლაკონურობით და აზრის სხარტად გადმოცემის თვისებებით. იგი წარმოადგენს ლაკონურად გამოთქმულ ბრძნულ აზრს. ანდაზების

თემატიკა საკმაოდ ფართოა. ქართულ და ინგლისურ ენებში გვაქვს ანდაზები მეგობრობის, სიყვარულის ვაჟკაცობის, სამშობლოს სიყვარულის, გმირობის შესახებ. აგრეთვე კიდევ უამრავ თემატიკას მოიცავს ქართული და ინგლისური ანდაზური ფონდი. ჩემს ნაშრომში ვერ მოხერხდა ყველა მათგანის განხილვა, თუმცა უკვე განხილული თემებიდან და მათი შესაბამისი მაგალითებიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ ინგლისელ და ქართველ ხალხს საერთო შეხედულებები და მოსაზრებები აქვთ სხვადასხვა საკითხებთან დაკავშირებით. მაგალითების განხილვამ ნათლად დაგვანახა ამ ორ ერს შორის მსგავსებაც და განსხვავებაც.

ანდაზებთან დაკავშირებით არსებობს რამდენიმე საკითხი რომელთა შესახებ კვლევა საუკუნეების განმავლობაში მიმდინარეობდა და დღესაც მიმდინარეობ. ერთ-ერთი ასეთი საკითხია მისი ლინგვისტური სტატუსი. მკვლევრებს შორის ვერ ჩამოყალიბდა საერთო აზრი იმის შესახებ თუ რა კუთხით უნდა განვიხილოთ ანდაზა, როგორც დამოუკიდებელი ენობრივი ერთეული თუ როგორც რომელიმე ლინგვისტური დარდგის შემადგენელი ნაწილი.

ნაშრომში განხილულ მასალებზე დაყრდნობით შეგვიძლია გამოვიტანოთ დასკვნა, რომ ეს ერთი შეხედვით მარტივი ტექსტები არც ისე მარტივია როგორც ჩანს. ისინი სტრუქტურულად რთული ელემენტებია. აგრეთვე ზოგიერთი ანდაზის წაკითხვისას არც ისე მარტივია მისი შინაარსის გაგება რადგან ისინი გარკვეულ ამბავზე და რაიმე ისორიაზე დაფუძნებით შეიქმნა და თუ მკითხველმა მისი შექმნის ამბავი არ იცის ანდაზა გაუგებარი იქნება. სწორედ ამ თვისებების გამო გახდა ანდაზა მკვლევართა ინტერესის საგანი და დარწმუნებულივარ მომავალშიც უამრავი ნაშრომი დაიწერება ამის შესახებ. ვიმედოვნებ ჩემი ნაშრომი გარკვეულ დახმარებას გაუწევს მომავალ პარემიოლოგებს.

გამოყენებული ლიტერატურა:

- 1) გამსახურდია 1984: გამსახურდიაკ., „დიდოსტატისკონსტანტინესმარჯვენა“, თბ.
- 2) ლეჟავა 1959: ლეჟავალია, „ქართულანდაზათაენა“ _ქართველურ ენათა სტრუქტურის საკითხები. ტ. I,
- 3) . რუსეიშვილი 2005: რუსეიშვილი მანანა, ანდაზა, თბ.,
- 4) ა. თაყაიშვილი „ქართული ფრაზეოლოგიის საკითხები“ თბილისი 1961
- 5) ფ. ერთელიშვილი „ანდაზის ცნების საკითხისათვის N3 „მნათობი“ 1957; აფორიზმის ცნების საკითხისათვის „მნათობი“ N5 1958
- 6) ზ. ჭუმბურიძე „ქართული ანდაზები“ თბილისი
- 7) თ. შიომშვილი 1998 „ზნეობრივი აღზრდის ტრადიციები მცირე ჟანრის ქართულ პოეტურ ფოლკლორში“. სამხრეთ დაავლეთ საქართველოს ზეპირსიტყვიერება IX თბ
- 8) ჭავჭავაძე 1988: ჭავჭავაძეილია, თბზ. ტ. II, თბ.
- 9) ქ. ჯაში „ანდაზა ფრაზეოლოგიური ერთეული“ 1984; „ლინგვისტური პარემიოლოგია საგნისა და მეთოდის პრობლემა“ 1988
- 10) Taylor 1975: Taylor A., “Selected writings on Proverbs”, Helsinki.
- 11) Mieder 1985: Mieder Wolfgang, "A Proverb a Day Keeps no Chauvinism Away," Proverbium,
- 12) A Dictionary 1952: “ A Dictionary of American Proverbs
- 13) Wang Qin 1996 “Racial characteristics of proverbs\teaching and learning” 1996
- 14) A. Dundes 1980 “ Interpreting folklore” 1 980
- 15) С .В.Птушко 2010 „ანდაზების ლინგვისტური სტატუსი“
- 16) Пермьяков 1970

გამოყენებული ინტერნეტ წყაროები:

(http://www.topautor.ru/Kak_poyavilis_poslivitsi_i_pogovorki_24d4-.html).

(<http://www.ambioni.ge/rogor-aisaxa-tanamedroveoba-andazebsi>).

([Semiotics.html](#))

(<https://ieonline.com/#ieslice>)

([/why-do-we-use-proverbs.htm](#))

(<https://repository.up.ac.za/bitstream/handle/2263/28957/dissertation.pdf?sequence>)

(<http://rodin.uca.es/xmlui/bitstream/handle/10498/17543/TFG%20Cristina%20Heras>)

(http://tesau.edu.ge/files/uploads/humanitaruli/2/__06072016.doc)

(https://www.google.com/url?sa=t&rct=j&q=&esrc=s&source=web&cd=7&cad=rja&uact=8&ved=0ahUKEwjF9KqDzLrbAhWKIMAKHY0CBYsQFghZMAY&url=https%3A%2F%2Fwww.bsu.edu.ge%2Ftext_files%2Fge_file_5764_1.pdf&usg=AOvVaw2SFUTgdDg-D3Mp1AfM0U_k)